# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2012 წელი.

№137 (7013)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ქართული საზოგადოება ისეთ დონეზე უნდა იყოს, რომ ლუის ნავარო არ აკადრონ




3

ყველა ქვეყანას ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ქვეყანას, ამერიკის ისეთი საელჩო აქვს, რომელსაც იგი იმსახურებს. იგივე შეიძლება ითქვას NDI-ზეც.

ფინანსური ზარალი აუნაზღაურდება

## საქმე მსოფლიო ბანკის არბიტრაჟში განიხილება

2

## ნაციონალური ლოგიკა და არითმეტიკის საფუძვლები,

ანუ 47 როგორ უდრის 36-ს

## ბათუმის დელფინების ბედი ნათია მოგელაძემ გადაწყვიტა

4



## ქართულ მიწაზე აღმოცენებული ამერიკული ოცნება

5





## თანამშრომლებს ქუთაისში გადასასვლელად ამზადებენ

4

## „რუსეთი მშვიდობასა და სტაბილურობას სამხედრო საფრთხეს უქმნის“

7

ფინანსური ზარალი აუნაზღაურდება

# საქმე მსოფლიო ბანკის არბიტრაჟში განიხილება

**საერთაშორისო იურიდიული კომპანია Skadden-ი ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს დაიცავს. ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო იურიდიული კომპანია Skadden-ის წარმომადგენლებს უკვე შეხვდა.**

**შეხვედრას Skadden-ის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი დევიდ ჰერლიხი და ვაშინგტონის ოფისის ხელმძღვანელი გრეგორი ბესტორ გრეგი ესწრებოდნენ.**

გრეგორი გრეგი ცნობილია, როგორც ადვოკატი და იურისტი, ასევე როგორც პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ის იყო თეთრი სახლის იურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი 1998 წელს. 2009-2010 წლებში კი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პირადი მრჩეველი.

„რაც შეეხება Skadden-ს, ეს არის ცნობილი საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც დასახელდა 2012 წლის საუკეთესო იურიდიულ კომპანიად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე 2012 წელს მოიპოვა IFLR (გამოცემა: საერთაშორისო ფინანსური სამართლის მიმოხილვა) ევროპისა და ამერიკის ჯილდო. სრფქიუკთ Global-ის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო კომპანიად. აღნიშნულ ჯგუფში მოღვაწე 126 იურისტი შეყვანილია მსოფლიოს საუკეთესო იურისტთა სიაში.



სწორედ ეს იურიდიული კომპანია დაიცავს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს, რომლის უფლებებიც დაირღვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უახლოეს მომავალში დაიწყება საქართველოს ხელისუფლებასთან დავა მსოფლიო ბანკთან არსებულ საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში", — ნათქვამია კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ამბობს, საკითხი ასე დგას, იმ მოქმედებებმა, რაც ხორციელდება ბიძინა ივანიშვილის მიმართ შარშან, ოქტომბრიდან მოყოლებული, წარმოქმნა მისთვის ფინანსური სახის ზიანი.

**„საქართველოში დავას აზრი არ აქვს, ამიტომაც ამ ზიანის კომპენსირებისთვის შეირჩა საარბიტრაჟო ინსტიტუტი. ეს არის მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის ცენტრი, რომელიც იხილავს ასეთ საქმეებს. ბიძინა ივანიშვილის უფლებების დაცვა იცით, რომ საქართველოში შეუძლებელია და ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ ცენტრისთვის საჩივრით მიგვემართა, რომელიც განიხილავს ყველა იმ ზიანს, რაც მას მიაყენეს და მიიღებს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად საქმის მოგების შემთხვევაში სახელმწიფოს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურებისთვის გარკვეული თანხა.**

**ეს ცენტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის ეგიდით მოქმედი არბიტრაჟია, მდებარეობს ვაშინგტონში, ხოლო ფირმა, რომელიც ამ საკითხში ჩაერთო, არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა, რომელიც დაკავებულია მსგავსი ტიპის საარბიტრაჟო დავებით, აქვს ძალიან დიდი გამოცდილება. ამ ფირმის მეშვეობით მოხდა ე.წ. ებრაელების საქმის განხილვა, რომლებმაც 100 მილიონი მოუგეს საქართველოს, იცნობენ საქართველოს კარგად და იმ პრობლემატიკას, რაც აქ არსებობს. აქვთ დიდი გამოცდილება და ამდენად, ამ ნიშნით მოხდა მათი შერჩევა. სხვათა შორის, ამ იურიდიულ კომპანიას მიჰყავს ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩის საქმე",** — აცხადებს კბილაშვილი. როგორც კბილაშვილი ამბობს, პროცედურების გათვალისწინებით, სარჩელი შემდეგი კვირიდან შევა და მოქმედებებიც დაიწყება.

თანხა, რაც ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილსა თუ მასთან დაკავშირებულ კომპანიებს დააკისრა, ჯარიმების სახით რამდენიმე მილიონი ლარია, ამ თანხას სავარაუდოდ „ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებში საკუთარი კამპანიის დასაფინანსებლად გამოიყენებს, მისი ანაზღაურება კი არა მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას", არამედ საქართველოს სახელმწიფოს მოუწევს.

ამას თუ კომპანიების დაყადაღების შედეგად მიყენებულ ზიანსაც დავუმატებთ, საქართველოს ბიუჯეტს ივანიშვილის სასარგებლოდ საკმაოდ დიდი თანხების გაღება მოუხდება. როგორც კბილაშვილი ამბობს, თანხა სახელმწიფოს ეკისრება, და ის თანხაც, რაც ებრაელი ბიზნესმენების სასარგებლოდ გადაიხადეს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარა.

**„საარბიტრაჟო დაწესებულებაში საკითხი დგება სახელმწიფოს ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხს არ ადგენენ. შემდგომ უკვე, როდესაც ქვეყანას ასეთი მნიშვნელობის თანხა ეკისრება, საზოგადოებამ უნდა გამოიტანოს დასკვნა, ვის გამო მოხდა ასე. ეს არ არის ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც სამხედრო დამნაშავის საკითხს იხილავს და წყვეტს",** — ამბობს კბილაშვილი.

მისივე განმარტებით, ეს არის წმინდა საარბიტრაჟო დაწესებულება, რომელიც იხილავს წმინდა ფინანსურ დავებს. **„ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ადამიანის უფლებების დარღვევას იხილავს და იქ კომპენსაციას მეორადი ხასიათი აქვს, თანაც სიმბოლური. ამასთან ყველა პროცედურა უნდა იყოს გავლილი. ეს საარბიტრაჟო დაწესებულება იხილავს კონკრეტულად ფინანსური ხასიათის ზიანს, ადგენს მის არსებობას, ოდენობას და ამასთან არ არის საჭირო, რომ შიდა სამართლებრივი პროცედურები იყოს დაცული.**

**ევროსასამართლოსგან განსხვავებით ერთი პლიუსი ის არის, რომ როდესაც საჩივარი შედის, ევროპაში შეიძლება 5-6 წელი ისე გავიდეს, რომ საერთოდ არავინ არ შემოგეხმიანოს, აქ კი გაწერილი პროცედურებია, როდის რა ხდება. მართალია, ძირითადად, დავის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმის სირთულეზე და მონაწილეთა რაოდენობაზე, მაგრამ საბოლოოდ, პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვის ან დაახლოებით ერთი ან ორი წლის მანძილზე",** — განმარტავს კბილაშვილი.

სარჩელი შევა, როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე იმ მესაკუთრეების სახელით, რომლებმაც „ქართუ ჯგუფის" აქციები შეიძინეს. ივანიშვილი თავის პრეტენზიებს დააყენებს გასხვისებამდელ პერიოდზე, რომელიც ბანკს მიადგა, ხოლო დღევანდელი მესაკუთრეები თავიანთ პრეტენზიებს წამოაყენებენ იმ ზიანის შესახებ, რაც აქციების გასხვისების შემდეგ მიადგა „ქართუ ჯგუფს". გარდა ამისა, სარჩელს შეიტანენ იმ კომპანიების მფლობელებიც, რომელ კომპანიებსაც თავის დროზე კონტროლის პალატის მოქმედებების შედეგად მიადგა ზარალი მხოლოდ იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილის სახელთან იყვნენ დაკავშირებული, ეს კომპანიებია „ელიტა ბურჯი", „გლობალ.ტვ", „მენეჯმენტ სერვისი".

**მარიამ თოდაძე**

ინფორმაცია

## დიმიტრი ლორთქიფანიძე განმარტებებს ითხოვს

**დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საკანონმდებლო ორგანოს შენობის დაცლის პროცესთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარისგან დავით ბაქრაძისგან განმარტებებს ითხოვს.**

**როგორც ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა ახსნას, თუ რას უკავშირდება შენობის ასე სწრაფად დაცლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.**

**მისი თქმით, დავით ბაქრაძემ უნდა განმარტოს, თუ სად შეეძლებათ დეპუტატებს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელება.**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე ასევე ამბობს, რომ კაბინეტების დაცლის თაობაზე დავალება მას ერთ-ერთი კომიტეტის აპარატის თავმჯდომარემ დაუდასტურა და ასევე, მისი ფრაქციის წევრებმაც მიიღეს შესაბამისი გაფრთხილება.**

**დეპუტატი აცხადებს, რომ სანამ უფლებამოსილება არ ამოეწურება, ის კაბინეტის დაცლას არ აპირებს.**

**მისი თქმით, „ნაციონალებისა" და „ქრისტიან-დემოკრატებისგან" განსხვავებით, უპარტიოა და შესაბამისად, საქმიანობას პარტიის ოფისში ვერ გააგრძელებს.**

**დეპუტატი აღნიშნავს, რომ ბაქრაძისგან უნდა მიიღოს განმარტება, თუ სად მიიღოს მოქალაქეები, რომელთაც ის ყოველდღიურად ხვდება.**



**პარლამენტის შენობის დაცლა უკვე მეორე დღეა მიმდინარეობს. აპარატის თანამშრომლებს მიღებული აქვთ დავალება, რომ მათი სამუშაო ოთახების დაცლა, ერთი კვირის მანძილზე უნდა დასრულდეს.**

## ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" ოთახების დაცლას არ აპირებს

**პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" პარლამენტის შენობაში ოთახების დაცლას არ აპირებს.**

**როგორც ჟურნალისტებს ფრაქციის თავმჯდომარე კარლო კოპალიანმა განუცხადა, პარლამენტს უფლებამოსილება არ ამოწურვია და გაუგებარია, როგორ შეიძლება დეპუტატს პარლამენტის შენობის დატოვება მოსთხოვონ.**

ინტერპრესნიუსი

კვლევა

# ნაციონალური ლოგიკა და არითმეტიკის საფუძვლები,

## ანუ 47 როგორ უდრის 36-ს!

**NDI-ის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალების რეიტინგი თებერვალთან შედარებით 11%-ით არის შემცირებული.**

თებერვალში ჩატარებული კვლევით ნაციონალებს 47%-ანი მხარდაჭერა ჰქონდათ. ახლა კი მათი მხარდაჭერა 36%-ია. „ქართული ოცნების" რეიტინგი 10%-ით არის გაზრდილი და 18% აღინუსხა. „ქრისტიან-დემოკრატებს" თებერვალშიც და ივნისშიც 3%-იანი რეიტინგი აქვთ. დანარჩენი პარტიები კი 0-ის ფარგლებში არიან.

კვლევების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ რეიტინგებს ეხება, NDI-მ ორშაბათს გამოაქვეყნა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კვლევის ეს ნაწილი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ოფიციალურად გახდა. აქამდე NDI კვლევის შედეგებს მხოლოდ პარტიებს აცნობდა იმ არგუმენტით, რომ პარტიების რეიტინგები საზოგადოებისთვის საინტერესო არ უნდა იყოს და ეს რეიტინგები პარტიებს მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის უნდა ესაჭიროებოდეთ. მაგრამ საქართველოში ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია და შედეგები მაინც ხდებოდა ცნობილი, თანაც პარტიების მიერ ინტერპრეტირებული. ეს კი ძალიან ბევრ გაუგებრობას იწვევდა და შემდეგ NDI-ის მუდმივად განმარტებების გაკეთება უწევდა.

ამჯერად კვლევის ეს ნაწილიც ოფიციალურად გამოქვეყნდა. ამასთან, კვლევაში მოტანილია 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ NDI-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები და შემდეგ უკვე არჩევნების ოფიციალური შედეგები, რომლებიც ფაქტობრივად ერთმანეთს ემთხვევა. როგორც ჩანს, იმის საჩვენებლად, რომ NDI-ის კვლევები შემდეგ მართლდება, რადგან ეს კვლევები ყოველთვის იწვევს უკმაყოფილებას და უნდობლობას.

მიუხედავად ამისა, პარტიები შედეგებით მაინც უკმაყოფილონი არიან და თავის დამშვიდებას სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ.

„ქართული ოცნება", „ამ ორგანიზაციის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად", ამ შედეგებს უბრალოდ არ აღიარებს. „ქრისტიან-დემოკრატები" ამბობენ, რომ მათ საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყიათ და მიაჩნიათ, რომ მათი 3%-იანი შედეგი ამის ბრალია.

თავის დამშვიდების ყველაზე საინტერესო მეთოდი კი ხელისუფლებამ მოიფიქრა და პირადად შევესწარით, როდესაც ლიდერები პარტიის არცთუ რიგით წევრებს არწმუნებდნენ, რომ მათი შედეგები არ შეცვლილა და ისევ ისეთია, როგორიც თებერვალში იყო. ამ საკმაოდ განათლებულმა და მნიშვნელოვანი პოზიციის მქონე ადამიანებმა კი ყოველგვარი კითხვების გარეშე დაიჯერეს, რომ 47-სა და 36-ს შორის არანაირი განსხვავება არ არის და ეს 36 უდრის იმ 47-ს.



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა „ცნობილმა სახემ", რომლის გვარსაც შეგნებულად არ დავასახელებთ, რადგან გუშინ იგივეს იმეორებდა ნაციონალების ყველა წარმომადგენელი, სანაძლეოც კი დაგვიდო, ჩვენი შედეგები არ შეცვლილაო. მერე ვილაცასთან დარეკა გადასამოწმებლად, ცოტა ხანი ხმა უხსნიდა, თუ 47 როგორ უდრის 36-ს, შემდეგ კმაყოფილი სახით გათიშა ტელეფონი და გამარჯვებული სახით დაგვიწყო ნაციონალური არითმეტიკის საფუძვლების ახსნა.

მისი თქმით, თებერვალში 47% ნაციონალებს საერთო ჯამში ქონიათ და აქ შედიოდა პირველადი არჩევანიც, მეორე არჩევანიც და ასევე იმ ხმების გარკვეული პროცენტიც, ვისაც გადაწყვეტილება ან არ მიუღია, ან საკუთარი პოზიციის გამხელა არ ისურვა. ახლა კი ეს 36% მხოლოდ პირველადი არჩევანია და ეს ხმები რომ დაემატება, ისევ 47% იქნებაო.

არადა, NDI-ის გამოქვეყნებულ მასალაში ძალიან ნათლად წერია, რომ ეს 47%-ც პირველადი არჩევანია და 36%-ც. მეორადი არჩევანი ორივე შემთხვევაში 2-3%-ია და არაფერს ცვლის.

როდესაც ამ ადამიანს მასალა ვაჩვენეთ, სადაც გარკვევით წერია, რომ თებერვალში „ნაციონალებს" 47% ჰქონდათ და ახლა 36% აქვთ, ამასთან, თვალსაჩინოებისთვის გრაფიკზე ერთი კატეგორია ერთნაირი ფერით არის აღნიშნული და, წესით, კითხვებიც კი არ უნდა ჩნდებოდეს, ამ ადამიანმა გვიპასუხა, მერ არ ვიცი, აქ რა წერია და ამის შესასწავლად დრო მჭირდება, მაგრამ ის ვიცი, რომ ჩვენ 47% გვქონდა და ისევ ამდენი გვაქვსო. თანაც ამტკიცებდა, რომ ეს სწორედ ამ კვლევებში წერიაო!!!

შესაძლოა, ეს ფაქტი ამ ერთი ადამიანის შეცდომად ჩაგვეთვალა, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად იგივეს იმეორებდა „ნაციონალების" ყველა წარმომადგენელი, მათ შორის, ლიდერებიც.

როგორც ჩანს, „ნაციონალებმა" გადაწყვიტეს, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თავისი წევრები და მომხრეები დაარწმუნონ, რომ მათ რეიტინგს არაფერი ემუქრება და მუდმივად იქნება ისეთი, როგორიც მათ სურთ. ამის დამტკიცებისთვის კი ელემენტარული არითმეტიკის წესების დარღვევასაც არ ერიდებაინ და ეს ადამიანებიც ჯიუტად და ეჭვშეუტანლად ამტკიცებენ, რომ 47 ტოლია 36-ის.

**თეონა ხარაბაძე**
For.ge



**„თუ ბასილ კობახიძე და ზაზა თევზაძე, როგორც მღვდლები, მონაწილეობდნენ ვარდების რევოლუციაში და მაშინ არავის აუკრძალავს ეს, რატომ არ შეიძლება, მეუფე იობიც მონაწილეობდეს?!“ — კითხულობს ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი და For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დიდი სჯულის კანონში არსად წერია, რომ მღვდლები არ უნდა დაესწრნენ „ქართული ოცნების“ აქციებს.**

**NDI-ის კვლევაში ყველაზე სანდო ინსტიტუციებად ჯარი, პოლიცია და შსს დასახელდა. სამაგიეროდ, NDI-ის მესვეურებს არ გახსენებიათ საპატრიარქო (ეკლესია), რომლის მიმართაც ნდობა საზოგადოებაში მაღალია და, სხვათა შორის, NDI-ის კვლევაშიც დადასტურდა, რომ პატრიარქისადმი ნდობა პირველ ადგილზეა. თუ გავითვალისწინებთ, რომ NDI-ის წინამორბედ კვლევაშიც საპატრიარქოს, როგორც ინსტიტუციისადმი, ნდობა ფიგურირებდა (თუმცა რატომღაც ამას არ ახმიანებდნენ), ამჟამინდელ კვლევაში რატომ მიიჩქმალა ეკლესიის ღვაწლი ქართული საზოგადოების წინაშე?**

— ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებას თუ შევხედავთ, ეს არახალია. აღმოსავლურ ქრისტიანულ კულტურებში, არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც, საბერძნეთსა და ბევრგან, არის ასეთი მოდელი, რომელსაც პირობითად ბიზანტიური მოდელი ეწოდება, როდესაც საერო ხელისუფლება ეკლესიის კონტროლს ცდილობს. თითქმის ყოველთვის ასეა — ეს მონარქიაა, კომუნისტური პერიოდი თუ ლიბერალური დემოკრატია — როგორც წესი, სიტუაცია არ იცვლება და ეს აღმოსავლური ქრისტიანული კულტურების სპეციფიური მომენტია. დღესაც ასეა.

ერთი მხრივ, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ეკლესია ნაციონალური მემკვიდრეობისა და კულტურული და ნაციონალური იდენტობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. თუ ამას ქრისტიანული პოზიციიდან შევხედავთ, საინტერესოა, რამდენად ქრისტიანულია, როცა ეკლესია დაკავშირებულია ნაციონალურ იდენტობასთან?! მაგრამ, მოდით, ამას თავი დავანებოთ. ყოველ შემთხვევაში, რეალობა ასეთია. აქედან გამომდინარე, რადგან ეკლესია მნიშვნელოვანი მომენტია, საჭიროა მისი კონტროლი. კონტროლის მექანიზმი კი ძალიან მარტივია, მე შენ გაძლევ ფულს და შენ უნდა შეასრულო, რასაც გეუბნები. ცნობილი ოკუპანტური გამოთქმა — ვინც იხდის ფულს, ის უკვეთავს მუსიკას, თუმცა ძალიან კარგად ჩანს, რომ სინოდი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ორი ტენდენცია იკვეთება, ერთნი ლოიალურნი არიან და ჩავთვალოთ, რომ ეს არის სწორედ ის ნაწილი, რომელიც იღებს შემოწირულობებს, მეორე კი არის ის ნაწილი, რომელიც ამას არ იღებს და არის არალოიალური, პატიოსანი და ნაციონალისტური. რადგანაც ასეთი ნაწილი არსებობს და ეს ნაციონალურ იდენტობას უკავშირდება, ხოლო ხელისუფლება თავს აიგივებს უფრო ინტერნაციონალიზმთან, ვიდრე ნაციონალიზმთან, აქედან გამომდინარე, საჭიროა, ერთი მხრივ, ეკლესიის კონტროლი და, მეორე მხრივ, რაღაცნაირად მისი მეორე პლანზე გადაყვანა.

**— ანუ ხალხის თვალში ეკლესიის როლის დაჩრდილვა?**

— დიახ, პრინციპში, სხვადასხვა მეთოდებით ხდება ეს. იდეოლოგიურად, თუ ეკლესია ნაციონალისტურია, არსებული ხელისუფლება ინტერნაციონალისტურია. ანუ, აქ ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის დაპირისპირებაა. აქედან გამომდინარე, ეკლესიისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება არ მიკვირს. გასაგებია, რომ ეს არის კონტროლი, მეორე პლანზე გადაყვანა. ეს არის ამ ხელისუფლების სტრატეგია.

**— რატომ გგონიათ, რომ სინოდი ორ ნაწილადაა გაყოფილი? იქნებ, საკუთარ პოზიციას ვერ ავლენს მათი ნაწილი?**

— მე ვმსჯელობ იქიდან გამომდინარე, რომ, დავუშვათ, მეუფე კალისტრატე ამბობს, რომ სააკაშვილი არის დავით აღმაშენებელი, არაჩვეულებრივი ადამიანი, მესიის მახვილი, მეუფე იობი კი ამბობს, რომ ეს არის ჩვენი ბასიანი. ე.ი. თუ დააკვირდებით, ქრისტიანული დისკუსით არც ერთი ნაწილი არ მეტყველებს. მეუფე კალისტრატეც ლაპარაკობს ნაციონალისტური ენით, ოღონდ, ამ ენაზე სააკაშვილი არის მესია, მეუფე იობისთვის კი, — პირიქით. ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ პატრიარქი მოსწონს გამოკითხულთა 92%-ს. ასეა თუ ისე, აქ საინტერესოა, ინტერნაციონალისტებისა და ნაციონალების დაპირისპირება, ეკლესიის გაყოფა. მეორე მომენტია, როდესაც თვითონ საეკლესიო პირები ამბობენ, რომ დღეს ეკლესია არის ისეთი მდიდარი, როგორც არასდროს, აი, ამ სიმდიდრეს სწორედ ახლავს ასეთი მომენტები, როცა შენ იღებ დაფინანსებას, ეს კარგად არ მეტყველებს. ეკლესია სულიერად უნდა იყოს მდიდარი.

**— თუ გამოვაკლებთ მეუფე კალისტრატეს, რომელიც სრულიად სხვა მოვლენაა, სინოდი მართლაც ორ ნაწილადაა გაყოფილი?**

— ბევრი იღებს მანდ ფულს, მანქანებს და რაღაცებს. ამიტომ ის, ვინც იღებს, დავალებულია. როგორც ვიცი, შარშან სინოდის სხდომაზე სინოდის 36 წევრთაგან 19/17-ზე გაიყო ხმები. რა თქმა უნდა, ხელისუფლებიდან ზემოქმედებას ახდენენ პატრიარქზეც.

**— ჩვენ გვახსოვს ფერიის მთას როგორ შეესივნენ ნაციონალები, მღვდლებთან დაპირისპირება, შარშანდელი ივლისი, როცა კონფესიების გათანაბრებას აპირებდნენ დედა ეკლესიასთან... ამის მიუხედავადაც, ფიქრობთ, რომ ჯიპების მიღება გადაწონის სასულიერო პირთა განწყობას? თუ ისინი გულში სულ სხვას ფიქრობენ და აქ მხოლოდ შიშის ფაქტორია?**

— ქრისტიანობის ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, ეკლესია მაშინ არის ძლიერი, როდესაც ის, უპირველეს ყოვლისა, ავტონომიურია, საკუთარ თავს ეყრდნობა, როდესაც მასში ძლიერია მჭვრეტელობითი და სულიერი მომენტი.

**— გულისხმობთ ასკეტურ მომენტს? და, ალბათ, აქ გრიგოლ ხანძთელია გასახსენებელი.**

— დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომ ასეთი მაგალითები, როგორც წესი, წარსულშია ხოლმე და რაც უფრო აქეთ მოვდივართ, უფრო და უფრო კლებულობს. ბოლო ასეთი ქმედითი მაღალი მაგალითები თუ არის, ბევრი არ არის. ქეთევან დედოფლის შემდეგ ძალიან გვიჭირს მარტვილობის შემთხვევების გახსენება. ეს დამახასიათებელია აღმოსავლური ადგილობრივი ეკლესიებისთვის, რადგან ადგილობრიობა განაპირობებს ნაციონალურ ტერიტორიასთან მიბმას. აქედან გამომდინარე, უნივერსალური ქრისტიანული მომენტი მეორე პლანზე გადადის და წინა პლანზე იწევს ნაციონალური მომენტი. სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული.

როგორც წესი, ადგილობრივი ეკლესია დამოკიდებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე, რომელსაც ეკონომიკური ბერკეტები გააჩნია. პეტრეს დროსაც რუსული ეკლესია მისი

# ქართული საზოგადოება ისეთ დონეზე უნდა იყოს, რომ ლუის ნავარო არ აკადრონ




გავლენის ქვეშ იყო. ეს არის ჩაკეტილი წრე, ძალიან რთული მომენტია და ეს არის ტრაგედია აღმოსავლური ქრისტიანობის.

**— აქედან გამომდინარე, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა ჩვენი პატრიარქიც.**

— დიახ, დაახლოებით, მე-9-10 საუკუნიდან მოყოლებული, რასაც ბიზანტიას ვუწოდებთ, ბიზანტიის იმპერია კი დაინგრა, მაგრამ მისი საქმე ცოცხალია და ბოლო 12 საუკუნის განმავლობაში აღმოსავლურ საქრისტიანოში ასეთი ვითარებაა.

**— ალბათ, თქვენ ამასაც უკავშირებთ სინოდის შემგუებლურ განცხადებას, რომ სასულიერო პირები არ მიიღებენ აქციებში მონაწილეობას, თუმცა, ამის მიუხედავად, განსაკუთრებით, ბერები მაინც მიდიან „ქართული ოცნების“ აქციაზე. თანაც, ისინი ქრისტიანული მოძღვრებით ხსნიან თავის ქმედებას და აცხადებენ — რისი უნდა მეშინოდეს, სიკვდილი არ არსებობს და, თუ სიკვდილის შემეშინდება, მაშინ ეკლესია რისთვის არის საჭირო?!**

— რატომაც არ შეიძლება, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, მღვდელი იქნება თუ საერო პირი, აქციაში მიიღოს მონაწილეობა?! მღვდელიც ხომ საქართველოს მოქალაქეა?! საქართველოს მოქალაქეს სრული კონსტიტუციური უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ აქციაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონს და კოდექსს, მაგრამ, რადგანაც ის მღვდელია, ამავე დროს, უნდა დაემორჩილოს იერარქიას. დიდი სჯულის კანონში, რამდენადაც ვიცი, ნამდვილად არ წერია, რომ მღვდლები არ უნდა დაესწრონ „ქართული ოცნების“ აქციებს. თუ ბასილ კობახიძე და ზაზა თევზაძე, როგორც მღვდლები, მონაწილეობდნენ ვარდების რევოლუციაში და მაშინ არავის აუკრძალავს ეს, რატომ არ შეიძლება, მეუფე იობიც მონაწილეობდეს?! პირადად მე ამით ბასილ კობახიძის ან მისი მსგავსი სხვა ადამიანების მიმართ სიმპათიას არ გამოვხატავ, სულაც არ მიმაჩნია, რომ ეს არის ქრისტიანული იდეალი, თანაც, ბასილ კობახიძე მღვდელი აღარ არის, მაგრამ მეუფე იობისადმი, როგორც პატრიოტი ადამიანისადმი, თანაგრძნობა მაქვს. თუმცა მღვდელი, პირველ რიგში, ქრისტეზე და მარტვილობაზე უნდა ლაპარაკობდეს და არა ბასიანზე და შამქორზე, თანაც, ასეთ ასპექტში. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია.

დავუშვათ, პატრიარქი პირადად აუკრძალავს, რომ მონაწილეობა არ მიიღონ აქციებში, ამასთან, თუ სინოდის გადაწყვეტილებაც ასეთია, რომ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა და ეს მამები მაინც მონაწილეობენ, აქ უკვე ეკლესიის შიდა პრობლემაა. თუ ასე გაგრძელდა, თუ ასე არ ასრულებენ უმაღლესი იერარქის გადაწყვეტილებას, აქ უკვე რაღაც სქიზმის მომენტია.

**— მაგრამ, იქნებ, სჯობდეს, ადამიანმა თავისი სულიერი განწყობა გამოხატოს, ვიდრე დაემორჩილოს სინოდის განჩინებას, რადგან ამ დადგენილებაში არ არის ნაგულისხმები ადამიანის თავისუფალი ნება. ადამიანის თავისუფალი ნება კი ისაა, რომ აქციაზე დადგეს.**

— იცით რა, თუ ეკლესიაა, ეკლესია იერარქიული სტრუქტურაა და არა დემოკრატიული. თუმცა მეორე მომენტიცაა, რომ მეუფე იობი ხედავს იმას, რომ სინოდი, რომელიც იღებს ფულს, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რაც მთლად მორალური გადაწყვეტილება არ არის — ოპორტუნისტული გადაწყვეტილებაა. ამ მხრივ იობი მართალია, ეს კალამბური არ გეგონოთ, იობი მართლაც მართალია. როგორც ჩანს, ეს არის ქართული ეკლესიის ტრაგიკული სიტუაცია, რომელიც, როგორც თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად აღმოსავლური ეკლესია, ჩავარდნილია ამ მანკიერ წრეში, მისი პარტიკულარიზმი და გამოყოფა ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესიისაგან, განაპირობებს იმას, რომ ის, როგორც წესი, დამოკიდებულია ადგილობრივ სახელმწიფოზე. ასე ხდება რუსეთში, სერბეთში და ბევრგან. მართალია, ყველგან ერთი სიტუაცია არ არის, მაგრამ მეტ-ნაკლებად მსგავსია. ბულგარეთში სიტუაცია ცოტა განსხვავებულია, მაგრამ ხდება ხოლმე ასეთი კოლიზიები.

**— იქნებ, სინოდის ეს დადგენილება შეფარვით ზუსტად იმას გულისხმობდა, რომ მოძღვრებს რაც უნდოდათ, ის გაეკეთებინათ და აქციებზეც წასულიყვნენ. იქნებ, ეს, უბრალოდ, ფარატინა ბრძანებულება უნდა ყოფილიყო, ხელისუფლებისგან დასაცავად?!**

— არც მაგას გამოვრიცხავ. შესაძლოა, ისიც, ვინც ფულს იღებს, გულში მაინც პატრიოტია. „შერეკილებში“ ცნობილი ფრაზა რომაა, ხუტა რომ ამბობს, თვალი დაუდგეს ევროპას, მეც ქართველი ვარ, ბოლოს და ბოლოსო. არ გამოვრიცხავ, ასეთი მომენტიც იყოს.

**— დავუბრუნდეთ ისევ პირველ შეკითხვას. რატომ უნდა იყოს დაინტერესებული NDI საპატრიარქოს, როგორც ძლიერი ინსტიტუციის, დამსახურების მიჩქმალვით?**

— რადგანაც ახლა ხელისუფლება არის ლიბერალური, დემოკრატიული, ინტერნაციონალური და, რადგანაც ქართული ეკლესია არის ნაციონალური იდენტობის გამომხატველი, ამ მხრივ არის ყურადღება გადატანილი. ამდენად, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია საერო ინსტიტუციები — პატრული და სხვა. მთელი სტრატეგიაც ეს არის. ბოლო ცხრა წელიწადი სხვა არაფერი არ არის, თუ არა სახელისუფლო ინტერნაციონალიზმისა და ქართული ნაციონალიზმის ურთიერთდაპირისპირება.

**— ამაში ლევან თარხნიშვილის ორგანიზაციას დანდობილი NDI-იც იღებს მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა, ლევან თარხნიშვილი, რომელიც არის შემსრულებელი, გიგი თევზაძის მეგობარი, პროფესორი, რამდენადაც ვიცი, სატყეო აქვს დამთავრებული, სასოფლოში. როგორც წესი, სასოფლო ამზადებს „არაჩვეულებრივ“ სოციოლოგებს.

**— ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ მსგავსი კვლევები საქართველოში არ უნდა ჩატარდეს. NDI-ის კვლევა ამერიკისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ხომ არ გამოიწვევს?**

— ყველა ქვეყანას ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ქვეყანას, ამერიკის ისეთი საელჩო აქვს, რომელსაც იგი იმსახურებს. იგივე შეიძლება ითქვას NDI-ზეც. თითოეულ ქვეყანას აქვს NDI-ის ისეთი ადგილობრივი ოფისი, როგორსაც იმსახურებს. აქედან გამომდინარე, ის, რომ ადგილობრივი NDI არის ასეთი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ არ არის დემოკრატიული ქვეყანა. არ გამოვრიცხავ, რომ, შეიძლება, ლუის ნავარო იყოს კორუმპირებული და არაკეთილსინდისიერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეჭვი უნდა შევიტანოთ თავისუფლების ქარტიაში, თომას ჯეფერსონისა და ჰენრი ადამსის მემკვიდრეობაში. ეს ორი სხვადასხვა რამეა. ლუის ნავარო არის პროვინციულ ქვეყანაში გაგზავნილი პროვინციული ჩინოსანი, რომელიც ვერაფერს ვერ დააკლებს ისეთი ცივილიზაციის სახელსა და დიდებას, რომელსაც ზემოხსენებული ადამიანები გამოხატავენ, მაგრამ ადგილობრივი ბიუროკრატი შეიძლება იყოს კორუმპირებული, სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება. მეორე მომენტია, თუ რამდენად განასხვავებს ქართული საზოგადოება ერთი-მეორისგან ვინმე ლუის ნავაროს და იმ მარადიულ ღირებულებებს, რომლებიც გამოხატულია თავისუფლების ქარტიაში.

> **ყველა ქვეყანას ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ქვეყანას, ამერიკის ისეთი საელჩო აქვს, რომელსაც იგი იმსახურებს. იგივე შეიძლება ითქვას NDI-ზეც. თითოეულ ქვეყანას აქვს NDI-ის ისეთი ადგილობრივი ოფისი, როგორსაც იმსახურებს. აქედან გამომდინარე, ის, რომ ადგილობრივი ტვშ არის ასეთი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ არ არის დემოკრატიული ქვეყანა. არ გამოვრიცხავ, რომ, შეიძლება, ლუის ნავარო იყოს კორუმპირებული და არაკეთილსინდისიერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეჭვი უნდა შევიტანოთ თავისუფლების ქარტიაში.**

**— უნდა ტარდებოდეს ასეთი კვლევები?**

— უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ქართული საზოგადოება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მას არ აკადროს ლუის ნავარო.

**მარიამ ლოლაშვილი**

## „ცნობადი სახე“

# ბათუმის დელფინების ბედი ნათია მოგელაძემ გადაწყვიტა



**იმის მიუხედავად, რომ არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ აღიარებს ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, ის მაინც ფაქტად რჩება — ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოში ყველაზე ცნობადი გვარი „მოგელაძე“ გახდა, ხოლო ყველაზე ცნობილი პერსონა — ნათია მოგელაძე.**

**მოგელაძეზე ახლა უკვე, არა თუ ადამიანები, ფლორა-ფაუნის წარმომადგენლებიც კი საუბრობენ და უფრთხიან. კიდევ კარგი, რომ კანონში პირდაპირ არსად წერია, რომ შესაძლოა ძაღლი, ცხენი, ან დელფინი და თევზი „დაკავშირებული პირია“, თორემ ვაი, რა ბედი მოელოდათ ამ უბედურებს. თუმცა არ წერია ერთია, მაგრამ ფაქტია, რომ მოგელაძე ამ მიმართულებითაც შიშის ზარს სცემს ყველას და ყველაფერს. მაგალითად კი, ბათუმის დელფინარიუმის ირგვლივ განვითარებული მოვლენებიც კმარა.**

**თუ ბათუმის ხელისუფალთ დავუჯერებთ, ბათუმის მერიასა და „მენეჯმენტ სერვისს“ შორის დადებული 19-წლიანი ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი, თავად „მენეჯმენტ სერვისის“ წერილი ხდება, რომლის საფუძველზეც კომპანიამ „სერვისი-7“-სთან (გასართობი ცენტრი „ციცინათელა“) განსახორციელებელი ინვესტირების ალბათობა ეჭვქვეშ დააყენა.**

სწორედ აღნიშნული წერილი გახდა ბათუმის თავკაცებისთვის საბაბი, რათა „მენეჯმენტ სერვისთან“ კონტრაქტი შეეწყვიტათ და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომლის შემადგენლობაშიც დელფინარიუმი შედის, საკუთარ ბალანსზე აეყვანათ და მენეჯმენტის განხორციელებაც საკუთარ თავზე აეღოთ.

**თუმცა გაუგებარია, რატომ მიანდო ბათუმის მერიამ „მენეჯმენტ სერვისს“ დელფინარიუმის მართვა გასულ წელს, თუკი წელს მართვას თავად მოახერხებდა?!**

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური დოკუმენტაციით არსად არ ფიქსირდება, რომ ამ ეტაპისთვის „მენეჯმენტ სერვისმა“ ხელშეკრულების რაიმე პუნქტი დაარღვია. ბათუმის მუნიციპალიტეტის მაღალჩინოსნები „მკითხაობენ“ და წინასწარი ვარაუდის საფუძველზე ასკვნიან, რომ კომპანია ხელშეკრულებას სამომავლოდ დაარღვევდა და უპრიანი იყო კონტრაქტი „დღესვე“ გაეწყვიტათ.

როგორც ცნობილია 2011 წლის 10 მაისს ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქის — ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს და მეორეს მხრივ შპს „მენეჯმენტ სერვისს“ შორის დაიდო თვითმმართველი ქალაქის — ბათუმის საკუთრებაში არსებული, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ 100-პროცენტიანი წილის მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „მენეჯმენტ სერვისს“ 19-წლიანი სასყიდლიანი მართვის უფლებით გადაეცა თვითმმართველი ქალაქის — ბათუმის საკუთრებაში არსებული, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ 100-პროცენტიანი წილი.

ხელშეკრულების 3.2 პუნქტით წილის მართვის უფლებით გადაცემის საზღაურის მთლიანი ოდენობა განისაზღვრა 3 500 ლარით წელიწადში.

წილის მართვის უფლებით მიმღებმა ვალდებულება აიღო ასევე, რომ შეენარჩუნებინა „საზოგადოების“ პროფილი. განისაზღვრა, რომ ბათუმის მერია მიიღებდა მოგების 50 პროცენტსაც.

რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზებს, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლის 10 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ №13/14866 წერილით ქ. ბათუმის მერიას გადმოუგზავნა შპს „მენეჯმენტ სერვისის“ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 2012 წლის 11 ივნისს მიწერილი №37/12 წერილი, რომლითაც შპს „მენეჯმენტ სერვისი“ სამინისტროს ატყობინებს, რომ მას მართვის უფლებით გადაცემული აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობა საზოგადოება „სერვისი -7“-ს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-ნი წილი, ხოლო ხელშეკრულებით შპს „მენეჯმენტ სერვისი“ ვალდებულია, მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე განახორციელოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია. ამავე წერილით, შპს „მენეჯმენტ სერვისი“ სამინისტროს ატყობინებს, რომ შესაძლოა, მის მიერ აღებული ვალდებულების შესრულება შეაფერხოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2012 წლის 14 მაისს მიღებულმა დადგენილებამ, რომლითაც შპს „მენეჯმენტ სერვისი“ დაჯარიმდა 4 766 195 ლარით.

აქ საუბარია იმაზე, რომ შპს „მენეჯმენტ სერვისი“ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედების გამო ვერ შეძლებდა „ციცინათელაში“ შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას. ეკონომიკის სამინისტრომ კი იმავე კომპანიის მიერ ნაკისრი სხვა ვალდებულებების, „შესაძლო შეუსრულებლობის“ შესახებ აცნობა ზოგ უწყებასაც, მათ შორის ბათუმის მუნიციპალიტეტს.

**ბათუმის მუნიციპალიტეტმაც ბევრი ფიქრისა და განსჯის გარეშე, მით უფრო არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, რაც ნათია მოგელაძის მიერ ივანიშვილის და მასთან დაკავშირებული კომპანიების მიმართ განხორციელებულ ქმედებებსა და სამომავლო „შესაძლო სანქციებს“ უკავშირდება, მიიღო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება ადამიანურ ენაზე ასე ჟღერს: „იქნებ მოგელაძემ ივანიშვილი და მასთან დაკავშირებული კომპანიები სულ გააკოტროს და დელფინები ულუკმაპუროდ დაგვიტოვოს, ამიტომ უმჯობესია ჩვენ ვაჭამოთ „ხამსა“, ვიდრე ბიძინამ ორაგულიო“.**

**ისე, ბათუმში იმასაც აღნიშნავენ, რომ საკრებულოში განიხილეს ვარიანტი იმის შესახებაც, რომ ტურისტულ სეზონზე დელფინარიუმის ხელმძღვანელობა აპირებდა მისი ბინადრები „ქართული ოცნების“ მაისურებში გამოეწყო. რაც ასევე კატასტროფა იქნებოდა საარჩევნო აგიტაციის თვალსაზრისით.**

**წარმოიდგინეთ „ქართული ოცნების“ მაისურში გამოწყობილი დელფინი, რომელიც წყლიდან წამოიმართება და დამსწრე პუბლიკას შესძახებს „ბიძინა!“, „ბიძინა!“. რა თქმა უნდა, თუ იმავე აუზში ზვიგენი არ გიზის, რომელიც ასეთი საქციელისთვის მას დასჯის, მაშინ უნდა დასაჯო ხელის აწევით, კენჭისყრით და აუცილებლად ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს თავკაცის მეშვეობით. მით უფრო თუ მოგელაძის სახება გიდგას მუდამ თვალწინ.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

„მენეჯმენტ სერვისის“ ბედი ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტა და კომპანიისთვის დამატებითი ვადის მიცემის ალბათობა ჩანასახშივე გამორიცხა.

**„თვითმმართველ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო თვლის ასევე, რომ არ არის აუცილებელი შპს „მენეჯმენტ სერვისისათვის“ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, რადგან ჯერ ერთი მის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 2012 წლის 11 ივნისს მიწერილ №37/12 წერილში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება და გარდა ამისა, განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა“** — ნათქვამია გიორგი კირთაძის ბრძანებულებაში.

**მოკლედ, საქმე ისე მიდის, რომ წელს სეზონზე ბათუმის დელფინარიუმის ბინადარნი პუბლიკას ახალ შოუს შესთავაზებენ. შოუს მთავარი ელემენტია — წყალში წამომართული დელფინი აკეთებს პირუეტს, მერე ხუთი პა და ბოლოს შეძახილი — „ნათია!“, „ნათია!“.**

**რატომ ჰგონია საქართველოში რომელიმე პოლიტიკოსს, რომ ნათია მოგელაძეზე უფრო ცნობადია?**

ჯი-ეიჩ-ენი

## პარლამენტი

# თანამშრომლებს ქუთაისში გადასასვლელად ამზადებენ

**პარლამენტის ტექნიკური პერსონალის, აპარატებისა და სხვა განყოფილებების თანამშრომლების ქუთაისში გადასასვლელად მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. საპარლამენტო უმცირესობაში აცხადებენ, რომ პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს და შესაძლოა, თანამშრომელთა დიდი ნაწილი უმუშევრად დარჩეს. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი ქუთაისის ახალ შენობაში არჩევნების დასრულების შემდეგ უნდა გადავიდეს და ქუთაისში უნდა მოხდეს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა. თათბირი პარლამენტის აპარატის თანამშრომლებთან გადასასვლელად მომზადების თაობაზე 16 ივლისს ჩატარდა. ის ჟურნალისტები, რომლებიც თათბირს დაესწრნენ, ჰყვებიან, რომ პარლამენტის რამდენიმე თანამშრომელი შეუძლოდაც კი გახდა.**



პარლამენტის 735 თანამშრომლიდან 500-მდე კაცი ქუთაისში სამუშაოდ გადასვლას, ალბათ, ვერ შეძლებს. ასეთი ინფორმაცია აქვს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ოპოზიციონერ მოადგილეს დიმიტრი ლორთქიფანიძეს. მისი სიტყვებით, ქუთაისში პარლამენტის ახალი თანამშრომლებისთვის სტაჟირებაც მიმდინარეობს. დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ მხოლოდ საკუთარი კომიტეტის მაგალითზე შეუძლია იმის თქმა, რომ თანამშრომელთა ნახევარი წასვლას ვერ შეძლებს.

**„ახალი კადრების აყვანა აქვთ განზრახული და, ალბათ, ისეთ მნიშვნელოვან კადრებს, რომლებიც ქსლის ტექნოლოგიებთან არიან დაკავშირებული, გადაიყვანენ. წმინდა საორგანიზაციო, საკანცელარიო საქმესთან დაკავშირებული თანამშრომლების აყვანა ხდება ქუთაისის რესურსის გათვალისწინებით. ძალიან ბევრი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ტრაგედიაა უმუშევრად დარჩენა, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ გადავა იქ, იმიტომ რომ ეს არის დაკავშირებული მისი ოჯახის წევრების იქ წაყვანასთან, ბავშვების სასწავლებლიდან გამოყვანასთან და ა.შ. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ისინი, უბრალოდ, იძულებული არიან ნებაყოფლობით თქვან უარი სამსახურზე“.**

დიმიტრი ლორთქიფანიძის სიტყვებით, მთავარი მიზეზი, რის გამოც თანამშრომლები ქუთაისში წასვლას ვერ შეძლებენ, ჩამოთვლილ სხვა მიზეზებთან ერთად, არის ის, რომ მათ საკუთარი ხელფასიდან მოუწევთ ქუთაისში ბინის ქირის გადახდა, რაც ბევრისთვის პრობლემა იქნება. როგორც ცნობილია, საერთო საცხოვრებელი მხოლოდ პარლამენტის დეპუტატებისთვის შენდება. სხვა თანამშრომლებს პირადი ხარჯების დაფარვა თავად მოუწევთ.

როგორც გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი რუსუდან მაჩაიძე უყვება „რადიო თავისუფლებას“, 16 ივლისს თავად შეესწრო პარლამენტის რამდენიმე თანამშრომლის შეუძლოდ გახდომის ფაქტს იმის გამო, რომ გაიგეს — ქუთაისში გადასვლის პროცესი იწყება: **„სასწრაფო არ გამოუძახიათ. უბრალოდ, ეს ადამიანები იყვნენ ცუდად. ზოგს წნევა ჰქონდა აწეული, ზოგს გული წაუვიდა. და რომ ვიკითხეთ, რატომ იყვნენ ადამიანები ცუდად, გვითხრეს, რომ გაიგეს პარლამენტი თვის ბოლომდე უნდა გადავიდეს ქუთაისში და ამან იმოქმედა მათზე, რადგან ზოგს გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული, ზოგს აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რომ წავიდეს, მაგრამ თავისი გეგმები გათვლილი აქვს ნოემბერში გადასვლაზეო“.**

**არავინ არავის არ უშვებს შენობიდან და საკითხი, რომ თანამშრომელი სამსახურიდან გაუშვან, ასე საერთოდ არ დგას. მეტიც, ხელმძღვანელობა ყველას სთავაზობს, რომ წამოვიდეს ქუთაისის პარლამენტში სამუშაოდ, მაგრამ ვინ წამოვა და ვინ არა, ეს არის მათი გადასაწყვეტი... პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მაკა გიგაური ამბობს, რომ პარლამენტი არჩევნების დასრულებადე თბილისში რჩება.**

მაკა გიგაურის სიტყვებით, **არც კონკრეტული თარიღი დაუწესებია ვინმეს იმის შესახებ, თუ როდემდეა ქუთაისში გადასვლის მზაობის ან უარის თქმის ვადა. თანამშრომლებს შეუძლიათ ეს განაცხადონ გადასვლამდე ერთი თვით ან, თუნდაც, ერთი კვირით ადრე, ამბობს მაკა გიგაური.**

ნინო ხარაძე,
რადიო „თავისუფლება“

# ქართულ მიწაზე აღმოცენებული ამერიკული ოცნება

მოლდოვის პრემიერ-მინისტრის თბილისში გამომგზავრების წინ რუსული „ნეზავისიმაია გაზეტა“ წერდა – ფილატი მიემგზავრება თბილისში, რათა სააკაშვილისგან გადაიწეროს პოლიციის კორუპციისგან განკურნების რეცეპტი. ამ საქმეში მოლდოველებს დახმარებას ამერიკა პირდება.

**აშშ-ის საელჩომ კიშინიოვში კონფერენცია გამართა თემაზე – „პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით მოლდოვის მიერ საქართველოს გამოცდილების გაზიარება“. „მოლდოვას ძალუძს საქართველოს გამოცდილების გაზიარება“ – ასეთი იყო კონფერენციის დევიზი. მოლდოვაში აშშ-ის ელჩმა უილიამ მოზერმა განაცხადა: „მოლდოვის მიერ საქართველოს იურიდიული სისტემისა და პოლიციის რეფორმების გაზიარება ხელს შეუწყობს მას ევროპის ოჯახში შესასვლელად“.**

გაზეთი წერს ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე და უფრო მეტად განსხვავებისკენ იხრება. მთავარი საკითხი – ნატოსთან დამოკიდებულებაა. საქართველოს მთელი მოსახლეობა – ხელისუფლება-ოპოზიციის ჩათვლით, მზადაა ნატოში შესასვლელად, მაშინ, როდესაც მოლდოვაში მოსახლეობის 15 პროცენტი გამოთქვამს ასეთ სურვილს.

კონფერენციის დროს აშშ-ის ელჩმა მოიყვანა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კლინტონის მიერ ისრაელში გაჟღერებული საქებარი სიტყვები საქართველოს რეფორმებთან დაკავშირებით.

**აშშ-ს მოსწონს საქართველოს ხელისუფლების გატარებული რეფორმები და ვერაფრით დაეთანხმება ქართული ოპოზიციის ეპიზოდურ, საწინააღმდეგო მოსაზრებას. ცხადია, ყველა ამერიკელი პოლიტიკოსი სააკაშვილით მონუსხული არ არის, მაგრამ ვინც არის – დიდი გავლენით სარგებლობს. ვაშინგტონში სააკაშვილს ჯერაც ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიის ჩირაღდანად თვლიან, თანაც რუსეთის წინააღმდეგ ხმალამოღებულ მებრძოლად.**

სააკაშვილი ერთადერთი ამერიკული პროექტია, რომელმაც გაამართლა. სხვებმა, უკრაინის, ყირგიზეთის, ბელორუსის, სხვათა ჩათვლით, ჩაილურის წყალი დალიეს. ამერიკისთვის სააკაშვილსა და ნაცებზე უარის თქმა ნიშნავს – საკუთარ პროექტზე უარის თქმას, საკუთარი თავის წინააღმდეგ ამხედრებას, ანუ მაზოხისტურ ექსპერიმენტს, რასაც ვაშინგტონი არ დაუშვებს.

**ამის გაუთვალისწინებლობა სიბეცეა. სამწუხაროდ, ოპოზიციის მხრიდან სწორედ ეს ხდება. არჩევნების ზღურბლზე მდგომი ქვეყნის მიმართ დასავლური მხარდაჭერის აორთქლება და ნაცთა წინააღმდეგ შებრუნება უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე რეალური აზროვნება. „მეოცნებეთა“ სურვილი – დროის მოკლე პერიოდში ვითარების მკვეთრი შემობრუნებისა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ამისათვის საჭიროა დრო და მუყაითი შრომა.**

თვით ნაცთა ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, იოლად დავრწმუნდებით ამაში. ნაცებმა, როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ, 1995 წლიდან გააჩაღა ბრძოლა საკუთარი შემქმნელის – „მოქალაქეთა კავშირის“ წინააღმდეგ – ბრძოლა ფარული, მზაკვრული, დაუნდობელი. ამ ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო მერაბიშვილის მიერ ამერიკული გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუ – დაახლოებით შემდეგი შინაარსის – შევარდნაძე დაბერდა და გამოშტერდა. მაშინ ამ სიტყვებმა ავტორს დიდი რისხვა მოუტანა, მაგრამ მომავალ ნაცებს – აღიარება.

„მოქალაქეთა კავშირი“ მაშინდელ ოპოზიციონერთა მიერ ჯეროვნად იყო შეფასებული, რაც დღეს არ შეინიშნება. ოპოზიცია რატომღაც მიიჩნევს, რომ დიდი ფულით ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელი იქნება. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალი რანგის მოხელეთა გამოუცდელობა, სიხარბე, უცოდინარობა, სხვა ისეთი ნეგატიური თვისებები, რაც არც ერთ მათგანს საშუალებას არ მისცემდა რიგით მოხელედ ემუშავა ნებისმიერი ქვეყნის სამინისტროში.

**საქართველოში ხშირად გაისმის სიტყვა – „გუნდი“, ანუ ნაციონალთა გუნდი, თითქოს ეს გუნდი რაღაც იდეის ირგვლივ იყოს გაერთიანებული, რაღაც იდეალებისთვის იბრძოდეს. არავითარი მსგავსი არ არსებობს. ქვეყანაში არის ნაციონალთა მონური გუნდი – ერთი ადამიანის მიერ დამორჩილებული და მისი მეხოტბე.**

მონური მორჩილება, ერთმანეთს შორის დათესილი შიში და უნდობლობა აერთიანებს, ერთ მუშტად კრავს მას. ამ „გუნდს“ ჰყავს ლიდერი სააკაშვილის სახით – ყველაფრის მკადრებელი, შეუპოვარი მებრძოლი, თავის დროზე ხალხის მიერ მხარდაჭერილი, დღეს ხალხის სულთამხუთავი, დასავლეთთან სისტემატურ დიალოგში მყოფი, დიდი PR-ისტი და ა.შ.

სააკაშვილთან ეპიზოდურ ომში ნებისმიერი დამარცხდება, რაც დადასტურდა კიდევაც სტრასბურგში. ფიასკო, რომელიც „მეოცნებეებმა“ განიცადეს, სააკაშვილის ტელევიზიების მთავარი საქილიკო თემა იყო – გალამაზებული სტრასბურგის სხდომათა დარბაზში ევროპელ პოლიტიკოსთა, მათ შორის ლანდსბერგისის მწვავე, ანტიბიძინური გამოსვლებით. „მარტო ლანდსბერგისი გამოვიდა ასეო“, – განმარტა ხიდაშელმა, თუმცა მისი ნათქვამი დაუჯერებლად ჟღერდა.



**ევროპელთათვის მიუღებელი გამოდგა „რეფორმატორ“ სააკაშვილის ლანძღვა. „რას დარბიან ამ უცხოეთში (იგულისხმება „ოცნებელები“), ხომ ხედავენ, რა დღეში ჩაგვაგდეს მათ. არ სჯობს საკუთარ ხალხთან მოთათბირება“, – აცხადებდა რადიო „მაესტროს“ რესპონდენტი. რა გაეწყობა – ის მართალია. როდესაც მთელი დასავლეთი დაბეჯითებით გაჰყვირის, რომ საქართველოს ნატოში შესვლა სურს (იგივეს აცხადებს „ოცნებაც“), უცხოეთში კი არ უნდა გაიქცე, არამედ საკუთარ ხალხს ჰკითხო – არის ეს ასე, თუ არა, საკუთარ ხალხს უნდა შეხვდე არსებული ვითარების განსამარტავად, სამომავლო გზების დასასახად.**

დასავლელი, განსაკუთრებით ამერიკელი პოლიტიკოსების სააკაშვილის საწინააღმდეგო რელსებზე გადაყვანას დრო სჭირდება. ამერიკულ პრესაში თითოოროლა ანტი სტატია ვითარებას ვერ შეცვლის.

რაც შეეხება თვით ამერიკას – ის ყოველთვის იქნება იმ იდეალების მხარდამჭერი, რომელიც ფუნდამენტურად არის ჩამოყალიბებული ამ ქვეყანაში. ამერიკელს მიაჩნია, რომ ის და მისი ქვეყანა არის სამაგალითო მთელს მსოფლიოში და აქედან გამომდინარე სულაც არ ერიდება საკუთარი იდეების სხვაზე თავსმოხვევა.

შეერთებული შტატები, იდეოლოგიის საფუძველზე, სახელმწიფოს და საზოგადოების თანაარსებობის იშვიათი გამონაკლისია. ეს ქვეყანა ემიგრანტების ქვეყანაა, იმათი, ვინც უკეთესი ცხოვრების ძიებაში პოულობდა ყველაფერს, რასაც საკუთარ ქვეყანაში იყო მოკლებული – თავისუფლებას ეკონომიკაში, პოლიტიკაში, რელიგიაში.

მათ წარმოსახვაში ამერიკა იყო ის ადგილი, სადაც ღმერთმა შეძლო საკუთარი გეგმის განხორციელება – იდეალურის მთელს დედამიწაზე. ქართველთაგან განსხვავებით, ამერიკელები ქეიფის დროს (ქართული გებით – ქეიფიც უცხოა მათთვისძ არ ჰყვებიან ზღაპარს – მოქეიფე ამერიკელები როგორ დააჯილდოვა ღმერთმა იმ ზღაპრული მიწით, თავისთვის რომ ჰქონდა გადანახული, ვინაიდან იქ აბორიგენები ცხოვრობდნენ. დღეს მცირე მათგანი შემორჩა – ამერიკელად ქცეული, რეზერვაციებში მცხოვრები, ანუ საკუთარი ქვეყნიდანაც გარიყული.

თავისუფლების მოკაშკაშე ვარსკვლავის იდეა ამერიკის რევოლუციამდე წარმოიშვა, თვით შტატების ჩამოყალიბებამდე და ორ საუკუნეზე მეტია ამერიკული ეროვნული თვითშეგნებისა და პოლიტიკის ფუნდამენტად ითვლება.

სწორედ ამერიკული ფუძის უცოდინარობა არის ზერელე დასკვნების წარმოშობის მიზეზი. ბევრს დღესაც ვერ გაუგია, რატომ უშვებს შეცდომას პრაგმატი ამერიკელი, უკვირს ამერიკელთა ნამოქმედარში რატომ არ არის სალი გათვლის ნაყოფი, ვერ ხვდება, რომ ამერიკელთა ნამოქმედარი იდეოლოგიური-მოსაზრებიდან არის გამომდინარე, რომლის დედაარსი მდგომარეობს შემდეგში - ამერიკამ, ღმერთის ძალისხმევით შექმნა დედამიწაზე იდეალური ცხოვრება, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს ყველასათვის.

მხოლოდ ის არის ყველასათვის მისაბაძი, ის არის ჩირაღდანიც და უკუნეთის განმანათებელიც, მხოლოდ მისგან უნდა გადაიღოს სხვა ქვეყანამ მაგალითი – იმათ, ვინც საკუთარი სიზარმაცით ან გონებაჩლუნგობით ვერ მოახერხეს ეს. ერთი სიტყვით, როდესაც შენი არ გაქვს ან არ შეგიძლია საკუთარის შექმნა, მაგალითი ამერიკისგან უნდა აიღო – ანუ კოპირება გაუკეთო ამერიკულ ცხოვრებას.

ყოველივე აღნიშნული ამერიკული კულტურის და ეროვნული თვითშეგნების დამახასიათებელი მომენტია და აქედან გამომდინარეა საგარეო პოლიტიკაც. მესიანობა საგარეო პოლიტიკის უმთავრესი, განუყოფელი ნაწილია და თუ ამას დავუმატებთ გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესებს – ერთად თავმოყრილ, კონცენტრირებულ ძალას მივიღებთ, რომლის სიძლიერე და მასთან ერთად მომხიბვლელობა იპყრობს სხვა ქვეყნების ყურადღებას, იწოვს მათ ამერიკულ ორბიტაში.

ამერიკული ოცნების განსამარტავად ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია და სახელმწიფო ინსტიტუტი მუშაობს. ყველა მათგანი, ისე, როგორც ხელისუფლება, მთლიანად საზოგადოება, დარწმუნებულია, რომ ამერიკა არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს შანსი, მოახდინოს თვითრეალიზაცია, მიაღწიოს წარმატებას, სიმდიდრეს და აღიარებას.

ასეთია ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე გადასახლებული ხალხების მიერ ჩამოყალიბებული იდეალები და, რაც მთავარია, რწმენა, რწმენა საკუთარი უძლეველობისა და დემოკრატიულობისა.

ამერიკული ცხოვრების წესის ფართო აფიშირება განსაკუთრებით გაფართოვდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – დანგრეული ევროპისა და იაპონიის აღდგენის პერიოდში. იქიდან მოყოლებული ამერიკული ცხოვრების წესი, ამერიკული მასობრივი კულტურის სახით, დაუკითხავად ლახავს ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის რიგითი მცხოვრების სახლის ზღურბლს და ძალაუნებურად ითრევს მას თავისუფალ, ამერიკულ ცხოვრებაში.

**მისთვის არც რელიგიური, არც საუკუნეობრივი ცხოვრების წესი, ენობრივი თუ კულტურული ბარიერი არ არსებობს. მისთვის მთავარია საკუთარი ცხოვრების წესის თავსმოხვევა, დაუმორჩილებელთა დამორჩილება და ამ „კეთილშობილური“ საქმისთვის ფინანსების, გავლენის, ძალისმიერი პოლიტიკის გამოყენება.**

**საქართველო წინა და დღევანდელი ხელისუფლების წყალობით რახანია ამერიკისკენაა გადახრილი. განსაკუთრებული ინტერესი ამერიკისადმი ბოლო 10 წლის განმავლობაში იგრძნობა. ამ თითზე ჩამოსათვლელ წლებში აშშ-მა საქართველოში ისეთი ხელისუფლება გამოძერწა, რომელიც თავიდან ბოლომდე ამერიკულია. ამერიკამ შეძლო საქართველოს ხელისუფლების დახმარებით კავკასიაში ამერიკული „ოცნებისათვის“ მყარი ფუნდამენტის შექმნა და მასზე ხელის აღება არ შედის ამერიკელთა ინტერესში.**

**შექმნილი ვითარების შესაცვლელად პატრიოტული ძალისხმევაა საჭირო, მის გამოსავლენად კი – გონიერება, ესოდენ დეფიციტური ჩვენში.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◉ წყალმომარაგება

## საზაფხულო შეღავათი აბონენტებს



**საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 18 ივლისიდან აქცია „გადაიხადე მხოლოდ 50 პროცენტი“ დაიწყო, რომელიც 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება.**

**აბონენტებს, რომლებსაც წლების განმავლობაში სასმელი წყალზე დავალიანება დაუგროვდათ, ვალის ნახევრის დაფარვის შემთხვევაში, კომპანია დანარჩენი თანხის ჩამოწერის პირობას აძლევს.**

**წყალმომარაგების კომპანია საქართველოში ორი წელია მოღვაწეობს და 250 ათას აბონენტს ემსახურება. ამ ხნის მანძილზე მოსახლეობას კომპანიის მიმართ 5 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა. აღნიშნული აქციის ფარგლებში აბონენტებმა თავიანთი დავალიანების ოდენობის დასადგენად კომპანიის რეგიონულ სერვის ცენტრებს უნდა მიმართონ. დაზუსტებულ მონაცემთა აქტს კომპანიის აგენტები აბონენტს სახლში მიუტანენ. აქციის დასრულებამდე აბონენტს ნებისმიერ დროს შეეძლება დავალიანების 50 პროცენტის გადახდა, რის შემდეგაც დარჩენილი დავალიანება თავისთავად ჩამოეჭრება.**

**აქცია ქვეყნის ყველა რეგიონს მოიცავს თბილისის, რუსთავისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.**

**–წყალმომარაგების კომპანია ასევე სხვა სახის აქციებსაც მართავს. ამჯერად, თუ მომხმარებელს აქვს ათლარიანი დავალიანება, ხუთი ლარის გადახდის შემთხვევაში დავალიანება გაუნულდება, – განაცხადა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ირაკლი კვაშილავამ, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

გულნაზ გახარია

# ჩუმად მოხმაურე შემოქმედი

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი **გივი ჯახუა.** ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ძვირფასო გივი!**

**საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.**

**თქვენ შემოქმედთა იმ რიცხვს ეკუთვნით, რომლებიც წლების განმავლობაში ჩუმად, უხმაუროდ ემსახურებიან მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, უთანასწორო ბრძოლაში არიან ჩართულნი ქართული სულიერების გადასარჩენად და სიცოცხლეც კი ემეტებათ, თუკი ამას საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს.**

**ამის დასტურია თქვენი ჩინებული პროზაული კრებულები „ნათია“, „ოდოია“, „ხალიბთა მემკვიდრენი“, „გრძელი ღამე“, „ცხენი თუ მოგიპარავს“, „ჟამი მსხვრევისა“, „ჩემი სევდიანი მურუცხეფი“. ამ წიგნებში ქართველ რაინდთა სული ბინადრობს, რომლებსაც ქვეყნის ერთგულება ძვალრბილში აქვთ გამჯდარი.**

**თქვენმა ნაწარმოებებმა არაერთხელ იმარჯვა ლიტერატურულ კონკურსებზე. თქვენი რედაქტორობით გამოიცა რუსთაველ მწერალთა საიუბილეო ლიტერატურული კრებული „ვარ რუსთაველი“, რომელიც ქალაქის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა.**

**სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორად, საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორესპონდენტად ქვემო ქართლში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტად, ხელმძღვანელობდით ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველს“ და ლიტერატურულ გაზეთ „სამშვილდეს“...**

**ბატონო გივი!**

**კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთელი გულით უერთდება მწერალთა ამ მართალ სიტყვებს და ულოცავს ბატონ გივის, მეგობარსა და კოლეგას, ჩვენს საკუთარ კორესპონდენტს ქვემო ქართლში, საუკუნისკენ მხნედ სვლას.**




# კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია...

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მან, უნდა თუ არ უნდა, უკან უნდა მიიხედოს, თავის განვლილ გზას გახედოს და პასუხი გასცეს კითხვას: როგორ იარა? მართალი კაცის ნაბიჯებით თუ?.. იამაყოს თუ რცხვენოდეს?

ჟურნალისტსა და მწერალს გივი ჯახუას 8 ათეულმა წელმა მოუკაკუნა. რა დრო გასულა! როდის იყო, „დედაენა“ რომ გადაშალა, „აი ია“ სურნელი შეიგრძნო, შეიტკბო და გაითავისა! ისიც, ჭაღარამორეული, წლებმოძალებული, მაგრამ ვერმორეული და ვერდაჯაბნილი, ფუტკარივით ნაშრომ-ნაღვაწი და ნაამაგარი, თვალს გადაავლებს წარსულს, გასახსენებელს გაიხსენებს და შვილთაშვილებს – ნიტასა და ტიციან-გიორგის მოუყვება. მოსაყოლი კი ბევრი აქვს...

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ ერთ სოფელში ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა...

ასე იწყება თითქმის ყველა ზღაპარი.

ზღაპარი ზღაპარია, ეს კი სინამდვილეში მოხდა: სამეგრელოს ერთ სოფელში ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა დედ-მამასთან და ორ ძმასთან ერთად. მერე გერმანიასთან დიდი ომი დაიწყო. მამა ჯარში წავიდა და ვეღარ დაბრუნდა. ის პატარა ბიჭი ისევ პატარა იყო, სულ რაღაც 9 წლისა, მაგრამ რა ექნა, ცალუღელა დედას მხარში უნდა ამოდგომოდა, დაობლებული უმცროსი ძმებისთვის მამობაც გაეწია და ძმობაც. კიდევაც იდიდა, კაცებს ეტოლებოდა და ეჯიბრებოდა. წიგნს კი არ ეშვებოდა. თოხით გადაყვლეფილი თითებით ლექსებს წერდა და ოცნებობდა...

წამოიზარდა და შინ გული აღარ დაუდგა. სწავლას მოწყურებული დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. ქვეყანა დიდია, წავალ, რაიმე პროფესიას ავითვისებ, ვიშრომებ, ვისწავლი, თავსაც გამოვადგები, ოჯახსაც და ქვეყანასაცო. კიდევაც აიხდინა საწადელი: რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშის პროფესიას დაეუფლა, პირველი ხელფასი სოფლად დარჩენილ დედასა და ძმებს მიაშველა. ბრიგადირად რომ გადაიყვანეს, ცას ეწია სიხარულით: ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვა. პარალელურად სწავლობდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა.

შრომობდა, სწავლობდა, ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ქვეყნის, ერის სიხარული ახარებდა, მისი ტკივილი სტკიოდა. ყველაფერს ქართველი ახალგაზრდა კაცის თვალით ხედავდა, გულით გრძნობდა და გონებით განსჯიდა: მოსაწონი მოსწონდა, სათაკილოს თაკილობდა. კალამი უჭრიდა: საქალაქო გაზეთ „რუსთავში“ თანამშრომლობდა – საქებარს აქებდა, გასაკილავს კილავდა.

შტატგარეშე კორესპონდენტს მალე საქარხნო გაზეთის „მეტალურგის“ რედაქტორობა ანდეს. იკისრა და კიდევაც გაამართლა: მისი რედაქტორობით გამოსული გაზეთის თითოეული ნომერი იყო მებრძოლი, კრიტიკული, საინტერესო, მკითხველმრავალი.

მერე, სამი ათეული წლის მანძილზე, იყო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის რუსთავისა და ქვემო ქართლის ზონის კორესპონდენტი. მისი კორესპონდენციები, ნარკვევები, ჩანახატები, რეპორტაჟები სისტემატურად გადაიცემოდა რადიოთი, ტელევიზიით, იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, ოპერატიულობით, თემის აქტუალურობით, სიმართლით, საკითხის სიღრმისეულობითა და პრინციპულობით ხასიათდებოდა და მკითხველის მოწონებით სარგებლობდა.

ამასობაში უკვე დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება დაუგროვდა. მკითხველთან მისატანი ბევრი სხვაგვარი სათქმელიც გაუჩნდა. ზოგ სათქმელს ჟურნალისტის კაცობით მოერია, ზოგსაც მწერლის თვალით შეხედა და ქაღალდზე მოთხრობებად და ნოველებად გადაიტანა.

დღეს 7 პროზაული კრებულის ავტორია გივი ჯახუა. ჰყავს თავისი მკითხველი, შემფასებელი და დამფასებელი, მისი მწერლური თვალთახედვის არეში ადამიანია, თავისი სიხარულით, ტკივილით, საფიქრალითა და საზრუნავით. მოთხრობებისა და ნოველების ძირითადი თემა კი მშობლიური ქვეყნის, ერის წარსული, დღევანდელობა და მომავალია.

და რაც მთავარია, მწერალი გივი ჯახუა არ იგონებს, არ თხზავს ამბებს, ყველაფერი სინამდვილეა, ცხოვრებისეულია. მისი მოთხრობებისა და ნოველების გმირები სისხლხორცეული, თვალ და ხელშესახები ადამიანები არიან, ყოველდღე რომ შეგხვდებიან სამსახურში, ეზოში, ქუჩაში... ავტორი მხოლოდ ისმენს, გრძნობს მათს სიხარულსა და ტკივილს, რასაც საკუთარ გულში გაიტარებს, საკუთრ გონების ქვაბში მოხარშავს და ქაღალდზე გადააქვს, მოთხრობებად და ნოველებად აქცევს...

გივი ჯახუას „ოდოია“, „კვაზა“, „ფოთოლო“, „ცხენი თუ მოგიპარავს?“, „ნათია“, „თეთრი გედები ცისფერ ტბაზე“, „არ ესროლოთ მტრედებს!“ და სხვა მრავალი მოთხრობა და ნოველა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული ლიტერატურის შენაძენია და ბევრ მათგანს, ალბათ, გი დე მოპასანიც მოაწერდა ხელს.

სამსახურებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თავის მიერვე ჩამოყალიბებულ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციას.

წარმატებული ჟურნალისტის, აღიარებული მწერლის გივი ჯახუას ცხოვრების გზა როდი იყო უეკლო. პირმშო ძე, ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდა, ტრაგიკულად დაეღუპა, მაგრამ ამ დიდმა უბედურებამ ვერ წააქცია, არც ცხოვრებაზე აუყრია გული, არც ადამიანებზე გაბოროტებულა...

დღეს კი ბატონ გივის, ვგონებ, თვითონაც არ სჯერა, რომ ამ მზისა და ცის ქვეშ 80 წელია დააბიჯებს. ძველებური შემართებით ხელმძღვანელობს რუსთავისა და ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველს“, რედაქტორობს ლიტერატურულ გაზეთ „სამშვილდეს“, ასევე, ძველებურად, თვალს აყოლებს ქუჩაში გავლილ ლამაზ ქალს, ყოველდღიურად, ყველანაირ ამინდში, ფეხით ლაშქრავს იალღუჯის სერს და თავის შვილთაშვილებს საქართველოს სიყვარულს ასწავლის...

ეს ამ 80-ისა იყოს და, უკეთეს – წელმაგარ, გამთლიანებულ საქართველოში დღეგრძელობასა და მზეგრძელობას, მრავალ სიხარულიან და შემოქმედებითი გამარჯვებებით სავსე წელს გისურვებთ, ბატონო გივი!

**თინათინ სიყმაშვილი,**
**ჟურნალისტი, მწერალი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „რუსეთი მშვიდობასა და სტაბილურობას სამხედრო საფრთხეს უქმნის“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩირკინის ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ვიზიტთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად, ვიზიტის მიზანი, რომელიც 11-13 ივლისს გაიმართა, იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ბაზების „ინსპექტირება“, რაც, თბილისის თანახმად, მიუთითებს ამ რეგიონების მილიტარიზაციის გაგრძელებაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

„რუსეთი აგრძელებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ინტენსიურ მილიტარიზაციას, აიარაღებს იქ განლაგებულ საოკუპაციო ჯარებს ახალი სამხედრო ტექნიკით, მათ შორის, განათავსებს სარაკეტო შეიარაღებას და აყალიბებს დამკვრელ სამხედრო ჯგუფებს. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ 2008 წლის სცენარის მიხედვით მიმდინარე მუდმივი სამხედრო სწავლებები როგორც ოკუპირებულ რეგიონებში, ისე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე, და 2012 წლის სექტემბრისთვის დაგეგმილი სტრატეგიული სწავლება „კავკასია-2012“. ამით რუსეთი მშვიდობასა და სტაბილურობას საქართველოსა და მთლიანად შავი ზღვისპირა რეგიონში ქმნის უშუალო სამხედრო საფრთხეს“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების 16 ივლისის განცხადებაში.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ რუსეთს „არაფერი აქვს, რომ შესთავაზოს კავკასიას, გარდა კრიმინალურ-მაფიოზური მმართველობისა და მილიტარიზაციისა“, და რომ მისი პოლიტიკა რეგიონში უნდა გახდეს „სერიოზული განხილვის საგანი კავკასიის სახელმწიფოებისთვის, კავკასიელი ხალხებისა და საერთაშორისო გაერთიანებისთვის“.

### „საქართველო ყველაზე ნაკლებადაა დაცული“

გეოპოლიტიკურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ფხალაძემ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციის ფაქტი შეინიშნება „უკვე დიდი ხანია“. ექსპერტს მიაჩნია, რომ რეალურად, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ინტენსიური მილიტარიზაციის მიზანია რუსეთის გავლენის გაძლიერება „მთელს რეგიონში“.

ფხალაძემ შეგვახსენა, რომ სწავლება „კავკასია-2012“-ის დეკლარირებული მიზანია მოქმედებანი ირანში ომის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა კონფლიქტების შემთხვევაში.

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტის სიტყვებით, ჩნდება მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, ფხალაძის თანახმად, ამგვარი სამხედრო სწავლება იგეგმება, როგორც მინიმუმი, ერთი წლით ადრე დაწყებამდე. მაშასადამე, მიაჩნია ექსპერტს, ძნელად რომ რუსეთის ფედერაციას ერთი წლის წინათ შეეძლო, გამოეცნო დაძაბულობის გაძლიერება ირანის გარშემო, მით უმეტეს, რომ კონფლიქტი ირანში ამჟამად „ნაკლებ საალბათოა“, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ამოწურულა პრობლემის მოწესრიგების ყველა მშვიდობიანი გზა.

რაც შეეხება სწავლება „კავკასია-2012“-ის მეორე ოფიციალურ მიზანს, რაც სხვა კონფლიქტებთანაა დაკავშირებული, თენგიზ ფხალაძეს მიაჩნია, რომ კონფლიქტი სამხრეთ კავკასიაში შეიძლება წამოიჭრას „მხოლოდ რუსეთის მონაწილეობით ან მისი კურთხევით“. შესაბამისად, ექსპერტს არ მიაჩნია რუსეთის სამხედრო სწავლებათა ოფიციალურად დასახელებული მიზნები სიმართლედ და მიიჩნევს, რომ სინამდვილეში რუსეთს განზრახული აქვს, გახდეს მთავარი მოთამაშე როგორც მთელს შავი ზღვისპირეთში, ისე კასპიის რეგიონშიც, სადაც, პოლიტოლოგის სიტყვებით, მოსკოვის ხელშეწყობით ასევე მიმდინარეობს „მილიტარიზაციის ინტენსიური პროცესი“. ფხალაძის თანახმად, ნებისმიერი დაპირისპირების შემთხვევაში რაც შეიძლება წამოიჭრას დასავლეთსა და რუსეთს შორის, ამ ეტაპზე გამოირიცხება პირდაპირი კონფრონტაციის შესაძლებლობა, შესაბამისად, ასიმეტრიული პასუხის დოქტრინა ხდება სულ უფრო მეტად პოპულარული.

ექსპერტის თანახმად, დღეს საქართველო „ყველაზე ნაკლებადაა დაცული“, ვინაიდან საერთაშორისო გარანტია ამ მომენტში „მეტად სუსტია“.

### „ორიენტირი დემოკრატიულ განვითარებაზე“

უშიშროების საკითხების ექსპერტს თეონა აქუბარდიას მიაჩნია „გამართლებულად“ თბილისის შეშფოთება სწავლება „კავკასია-2012“-თან დაკავშირებით და ფიქრობს, რომ სექტემბრის მოახლოებასთან ერთად (ამ თვისთვის არის დანიშნული ეს სწავლებაძ, ორივე მხარის რიტორიკა რუსეთის სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით „გაძლიერდება“. ექსპერტს მიაჩნია, რომ რუსეთი სამხედრო სწავლების საბაბით გაზრდის შეიარაღების მიწოდებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აქუბარდიამ შეგვახსენა, რომ რუსეთ-საქართველოს ომს 2008 წელს წინ უსწრებდა ანალოგიური მოქმედებანი რუსეთის სამხედრო ძალების მხრიდან — კერძოდ, რუსეთის ფედერაციას მაშინ შეჰყავდა აფხაზეთში ჯარები და ახორციელებდა სამხედრო ძალების გადაადგილებას ჩრდილოეთი კავკასიის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, თეონა აქუბარდიას ეჭვი ეპარება ამ ეტაპზე რუსეთის ოკუპაციის „ახალი ტალღის“ ალბათობაში. ექსპერტს მიაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იმისთვის, რომ მიიღოს დასავლეთისგან უშიშროების მაქსიმალური გარანტია რუსეთის მხრიდან რეალური საფრთხის შემთხვევაში, საქართველომ ყველაფარი უნდა გააკეთოს, რათა დაადასტუროს: ქვეყანა მიზანსწრაფულად მიდის დემოკრატიული განვითარების გზით. კერძოდ, ოქტომბერში სამართლიანი და პატიოსანი პარლამენტის არჩევნები არის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი, რომელიც დაადასტურებს საქართველოს განვითარების ვექტორის „დემოკრატიულობის ხარისხს“. თავისი სიტყვების დასადასტურებლად ექსპერტმა შეგვახსენა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კლინტონის კომენტარები მისი საქართველოში ვიზიტის დროს ივნისში, როდესაც ქალბატონმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის ამ ეტაპზე მთავარი პრობლემა — ეს არის სამართლიანი არჩევნების მოწყობა და არა სწავლება „კავკასია-2012“.

VOA NEWS Голос Америки

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანელ „შეფუთვის იმპერიის პრინცს“ წაუყენეს ბრალდება ცოლის ცხედრის დამალვაში**

მას შემდეგ, რაც მილიარდერ რაუზინგის მემკვიდრე დააკავეს ლონდონში მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, მის ფეშენებელურ სახლში მოაწყვეს ჩხრეკა და საძინებელში აღმოაჩინეს გარდაცვლილი მეუღლის ცხედარი. თავდაპირველად მოინდომეს მულტიმილიარდერის მემკვიდრისთვის ბრალის წაყენება მკვლელობაში, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს გაასამართლონ იგი იმისთვის, რომ მან ცოლი არ დაკრძალა თავის დროზე.

* * *

**„ნასას“ ასტრონომებმა გამოაქვეყნეს სატურნის რგოლების დღემდე უნახავი მკვეთრი ფოტოები**



საპლანეტთაშორისო ორბიტალური სადგურის „კასინის“ ასეთი ფასეული ფოტოგრაფიები უკანასკნელად მიიღეს ორი წლის წინათ. მეცნიერები განმარტავენ: კოსმოსური ხომალდი ამჟამად საჭირო კუთხით იმყოფება და შეიძლება დეტალებში შენიშნო მზის სისტემაში მოცულობით მეორე პლანეტის ცნობილი რგოლები და შეიძლება დაინახო კიდეც წყალი მის თანამგზავრებზე.

* * *

**ჩრდილოეთი კორეის „ახალგაზრდა ბელადი“ კიმ ჩენ ინი გადაიქცა მარშლად, რითაც მეზობლები შეაშინა**



გადაწყვეტილება კიმ ჩენ ინისთვის უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა 17 ივნისს. ამ ცნობის წინ ფხენიანმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს გააკეთოს მნიშვნელოვანი განცხადება, რამაც ყველაზე უარესი ეჭვი გამოიწვია მეზობელ ქვეყნებში. კიმ ჩენ ინის მორიგი ამაღლება მოხდა მისი 69 წლის მფარველის გადაყენების ფონზე.

* * *

**იუტას შტატში მფრინავმა გაიტაცა სამგზავრო თვითმფრინავი და თავი მოიკლა**

40 წლის ბრაიან ჰედგლინი ძებნაში იყო ყოფილი საყვარლის მკვლელობისთვის კოლორადოს შტატში. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გამოცხადებულიყო პოლიციაში, ის შეძვრა ერთ-ერთი ავიაკომპანიის თვითმფრინავში, გაიყვანა ავტოსადგომზე, დაეჯახა სვლის დროს მანქანებს, შემდეგ კი პილოტის კაბინეტში თავი მოიკლა.



# ფული სისხლის ფასად

## გაეროს სპეციალისტებმა შეაფასეს დანაშაულებრივი ბიზნესის ამა თუ იმ სახეობის შემოსავლიანობა

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულებათა სამმართველომ დაიწყო პროპაგანდისტული კამპანია არალეგალური ვაჭრობის ყველა სახეობის წინააღმდეგ — ნარკოტიკების გასაღებიდან ეგზოტიკური ცხოველებით ვაჭრობამდე. მის ფარგლებში გამოქვეყნდა მონაცემები დანაშაულებრივი ბიზნესის ამა თუ იმ სახეობის შემოსავლიანობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ კონტრაფაქტური პროდუქციის გაყიდვა ოდნავ უფრო ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე ნარკოვაჭრობა.

ამ სამმართველოს შეფასებით, **დანაშაულებრივი ბიზნესის საერთო ბრუნვა მთელი პლანეტის მასშტაბით შეადგენს 870 მილიარდ დოლარს.** ეს ექვსჯერ აღემატება დახმარების მოცულობას, რასაც უწევენ ყველა განვითარებად ქვეყანას და რაც მთელი პლანეტის შიდა მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 1,5 პროცენტს შეადგენს. **არალეგალური ვაჭრობის ყველაზე ხელსაყრელ სახეობად კვლავინდებურად რჩება ვაჭრობა ნარკოტიკებით. მასზე მოდის ორგანიზებულ დანაშაულებათა მესამედზე მეტი — 320 მილიარდი დოლარი. მეორე ადგილზეა კონტრფაქტურული საქონლით ვაჭრობა, რომლის წლიური მოცულობა ტრილიონის მეოთხედი დოლარია.** განსაკუთრებულ განგაშს იწვევს სპეციალისტებში კონტრფაქტურის წამლები, რომელთა მოცულობაც, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველა წამალთა დაახლოებით ერთ პროცენტს შეადგენს. ყალბი წამლები და საკვები პროდუქტები, როდესაც ისინი ლეგალურ ბაზარზე ხვდება, არა მხოლოდ ატყუებს ადამიანებს, არამედ მათ შეიძლება სერიოზული საფრთხეც შეუქმნას მათ ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

ადამიანებით ვაჭრობას ბანდიტებისთვის მოაქვს კიდევ 32 მილიარდი დოლარი წელიწადში. ზოგიერთის შეფასებით, არალეგალური იმიგრანტების მხოლოდ გემებით გადაყვანას ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ამაზე დასპეციალიზებულ ბანდებისთვის მოაქვს 7 მილიარდი დოლარი ყოველწლიურად. **ცოცხალი საქონლით ვაჭრების ხელში ყოვეწლიურად გადის 2,4 მილიონი კაცი.** იმის შესახებ კი, თუ რამდენი მათგანი იღუპება, სტატისტიკა დუმს. დამნაშავეები მოგებას ნახულობენ გარემოებებისგანაც კი. მაგალითად, **ხე-ტყის არალეგალურ ვაჭრობას მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოაქვს მათთვის 3,5 მილიარდი დოლარი. უკანასკნელ პერიოდში ორგანიზებულმა დანაშაულებებმა აითვისეს ვაჭრობა ეგზოტიკური, იშვიათი და გაქრობის პირას მყოფი ცხოველებითაც, რომელთა მოცულობაც 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს წელიწადში.**

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ- შემოსავლიანი დანაშაულებრივი დარგი აღმოჩნდა იარაღით ვაჭრობა. **„შავი იარაღის“ ბიზნესის ბრუნვა არ აჭარბებს 250 მილიონ დოლარს წელიწადში.** ალბათ, ეს კონკურენციით აიხსნება. მსოფლიოში იარაღით ლეგალური ვაჭრობის მოცულობა წლითიწლობით იზრდება.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2012 წლის 22 ივნისის №36 განკარგულებისა, 2012 წლის 3 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (გ. ლეონიძის ქუჩა №3/5, ოთახი №208) დღის 13 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

დანართი N1

| № | საინვენტარიზაციო ნომერი | ინვენტარის დასახელება | საწყისი/სარეალიზაციო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | 14904 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 2 | 14905 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 3 | 14906 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 4 | 14907 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 5 | 14908 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 6 | 14909 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 7 | 14917 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 8 | 14915 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 9 | 14914 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 10 | 14913 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 11 | 14912 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 12 | 14911 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 13 | 14919 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 14 | 14916 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 15 | 14918 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 16 | 14920 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 17 | 14921 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 18 | 14922 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 19 | 14923 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 20 | 14924 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 21 | 14925 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 22 | 14926 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 23 | 14927 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 24 | 14928 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 25 | 14929 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 26 | 14910 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 27 | 14932 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 28 | 14931 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 29 | 14930 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-9 | 178.2 |
| 30 | 12993 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 31 | 12992 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 32 | 13348 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 33 | 12976 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 34 | 12989 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 35 | 13305 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 36 | 12988 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 37 | 12697 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 38 | 12671 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 39 | 13335 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 40 | 12677 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 41 | 12728 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 42 | 13357 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 43 | 13332 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 44 | 12676 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 45 | 13361 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 46 | 13360 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 47 | 15876 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 48 | 13358 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 49 | 13359 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 50 | 13587 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 51 | 15875 | ფულის სათვლელი მანქანა [illegible] | 79.38 |
| 52 | 13350 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 53 | 13347 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 54 | 13338 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 55 | 18861 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 56 | 13333 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 57 | 13308 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 58 | 12978 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-8 | 79.38 |
| 59 | 16685 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-7 | 79.38 |
| 60 | 16682 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-7 | 79.38 |
| 61 | 16684 | ფულის სათვლელი მანქანა ტელლერ-7 | 79.38 |
| 62 | 19844 | ფოტო აპარატი ქენონ 50D EF-s17-85 | 524.88 |
| 63 | 17169 | ელ ჩაიდანი | 19.6 |
| 64 | 18848 | ციფრული მულტიმეტრი APPA-305 | 25.2 |
| 65 | 18849 | ციფრული მულტიმეტრი APPA-306 | 25.2 |
| 66 | 14668 | [illegible] | 277.83 |
| 67 | 18829 | [illegible] GR-3790 | 25.2 |
| 68 | 18384 | [illegible] GR-3790 | 25.2 |
| 69 | 18385 | [illegible] GR-3790 | 25.2 |
| 70 | 18369 | [illegible] GR-3790 | 25.2 |
| 71 | 17398 | კონდიციონერი | 357.21 |
| 72 | 16990 | სერვერი „კომპაქ პროლაიანტ" 1850 R P/800 | 364.5 |
| 73 | 13984 | უწყვეტი კვების წყარო -650 | 24.3 |
| 74 | 11428 | უწყვეტი კვების წყარო | 24.3 |
| 75 | 17308 | უწყვეტი კვების წყარო | 24.3 |
| 76 | 17336 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 77 | 10803 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 78 | 13776 | პრინტერი hp lj-5100 | 116.64 |
| 79 | 12383 | პრინტერი hp lj-1200 | 72.9 |
| 80 | 12361 | პრინტერი hp lj-1200 | 72.9 |
| 81 | 10540 | პრინტერი hp lj-1200 | 72.9 |
| 82 | 11558 | პრინტერი hp lj-1200 | 72.9 |
| 83 | 11370 | პრინტერი hp lj -1200 | 72.9 |
| 84 | 11069 | პრინტერი hp lj -1200 | 72.9 |
| 85 | 14859 | სერვერი „კომპაქ პროლაიანტ" DL380 | 364.5 |
| 86 | 14303 | კომპიუტერი ibm 2000 | 218.7 |
| 87 | 17543 | კომპიუტერი ibm 2000 | 218.7 |
| 88 | 13849 | კომპიუტერი ibm 2000 | 218.7 |
| 89 | 12289 | მონიტორი ibm | 58.32 |
| 90 | 14860 | სერვერი hp dl 380 | 364.5 |
| 91 | 17237 | მონიტორი HP 1502 | 72.9 |
| 92 | 17240 | მონიტორი HP 1502 | 72.9 |
| 93 | 17239 | მონიტორი HP 1502 | 72.9 |
| 94 | 17243 | მონიტორი HP 1502 | 72.9 |
| 95 | 14016 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 96 | 10189 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 97 | 14556 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 98 | 11355 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 99 | 10387 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 100 | 13584 | პრინტერი HP LJ 1150 | 72.9 |
| 101 | 11320 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 102 | 12291 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 103 | 10239 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 104 | 10811 | პრინტერი hp lj 1150 | 72.9 |
| 105 | 13478 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 106 | 13459 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 107 | 16923 | ნოუთბუქი ibm r 40 | 218.7 |
| 108 | 13996 | კომპიუტერი ibm 2400 | 255.15 |
| 109 | 12332-12331 | კომპიუტერი-მონიტორი (IBM 2400) | 255.15 |
| 110 | 10162 | კომპიუტერი ibm 2400 | 255.15 |
| 111 | 14787 | კომპიუტერი/IBM/ | 255.15 |
| 112 | 17577 | კომპიუტერი IBM2400 | 255.15 |
| 113 | 12245 | კომპიუტერი ibm 2400 | 255.15 |
| 114 | 12645 | კომპიუტერი ibm 2400 | 255.15 |
| 115 | 13692 | სერვერი hp | 364.5 |
| 116 | 14974 | სერვერი KVM Console | 56.7 |
| 117 | 16618 | მარშრუტიზატორი (სვიჩი) 1721 | 72.9 |
| 118 | 11002 | სკანერი hp 2400 | 56.7 |
| 119 | 11072 | ნოუთბუქი ibm r 51 | 218.7 |
| 120 | 17180 | ნოუთბუქი ibm r 51 | 218.7 |
| 121 | 17147 | ნოუთბუქი ibm r 51 | 218.7 |
| 122 | 10826 | ნოუთბუქი ibm r 51 | 218.7 |
| 123 | 12048 | პრინტერი HP LJ 1200 | 72.9 |
| 124 | 14705 | პრინტერი DJ 1220 | 72.9 |
| 125 | 13891 | პრინტერი hp dj 5652 | 218.7 |
| 126 | 13959 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 127 | 10802 | უწყვეტი კვების წყარო – 600 | 24.3 |
| 128 | 14670 | მონიტორი DELL ფერადი | 40.5 |
| 129 | 14590 | პრინტერი hp lj 1020 | 64.8 |
| 130 | 14972 | სერვერი IBMx346 | 364.5 |
| 131 | 11759 | პრინტერი hp lj 1200 | 72.9 |
| 132 | 17900 | პრინტერი HP LJ 1200 | 72.9 |
| 133 | 13758 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 27 |
| 134 | 15087 | სკანერი hp-5400 | 72.9 |
| 135 | 13656 | სერვერი hp dl 380 | 364.5 |
| 136 | 10205 | უწყვეტი კვების წყარო – 650 | 24.3 |
| 137 | 15795 | უწყვეტი კვების წყარო– 650 | 24.3 |
| 138 | 15588 | უწყვეტი კვების წყარო– 650 | 24.3 |
| 139 | 15561 | უწყვეტი კვების წყარო – 1500 | 56.7 |
| 140 | 15651 | უწყვეტი კვების წყარო – 1500 | 56.7 |
| 141 | 18122 | ნოუთბუქი ibm r40 | 218.7 |
| 142 | 15946 | უპს APC BACK/BK 500-RS,500VA, 230V 300 | 24.3 |
| 143 | 15952 | კომპიუტერი IBM | 255.15 |
| 144 | 14704 | ქსეროქსი canon pc860 | 116.64 |
| 145 | 11033 | ქსეროქსი canon pc860 | 116.64 |
| 146 | 12545 | ქსეროქსი canon pc 860 | 116.64 |
| 147 | 14601 | ქსეროქსი canon 860 | 116.64 |
| 148 | 12437 | ქსეროქსი canon 860 | 116.64 |
| 149 | 13060 | ქსეროქსი canon lb mf 3228 | 145.8 |
| 150 | 14600 | ქსეროქსი canon 860 | 116.64 |
| | | ჯამი | 19,044.88 |

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 დანართში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, (პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ქონების რამდენიმე ობიექტით ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს ბე ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვისძ, რომელიც ჩარიცხული შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE 22ძ. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებძ „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. აუქციონზე უმცირესი ბიჯი შეადგენს 5 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება.

საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს,(ტელ: 240-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №312ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, ინვენტარის სანახავად მიმართეთ: ბექა ბარბაქაძე (ტელ: 240-63-97, მობ: 577 98-40-34ძ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი ტ119.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 23 მაისის №25 განკარგულებისა, 2012 წლის 3 აგვისტოს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:**

ცხრილი №1

| N | ავტომანქანის დასახელება | სარეალიზაციო ფასი (ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | მერსედეს ბენცი E280, სახ. ნომერი AKA 678, გამოშვების წელი 1998 | 4,592.70 |
| 2 | ფორდ-მონდეო, სახ. ნომერი ABJ-248, გამოშვების წელი 1993 | 1,640.25 |
| 3 | [illegible] ([illegible]), სახ. ნომერი VTV-633, გამოშვების წელი 1999 | 17,714.70 |
| 4 | მერსედეს ბენცი E320, სახ. ნომერი QXQ-303, გამოშვების წელი 1998 | 5,576.40 |

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, (პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ქონების რამდენიმე ობიექტით ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს ბე ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვისძ, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის ტ117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22ძ. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტისშესახებძ „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. აუქციონზე უმცირესი ბიჯი შეადგენს 100 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს, (ტელ: 240-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №312ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, ავტომობილების სანახავად მიმართეთ: ბექა ბარბაქაძე (ტელ: 240-63-97, მობ: 577 98-40-34ძ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი /119.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 23 მაისის №26 განკარგულებისა, 2012 წლის 3 აგვისტოს, დღის 12 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208ძ ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ: ქ. ბათუმში, მ. აბაშიძის ქ. №27-ში მდებარე სასტუმროს ტიპის ფართის 156,1 კვ.მ. (გაწყობილი ავეჯით, ინვენტარით და ელექტროტექნიკითძ და მანსარდა ფართით 48 კვ.მ.

უძრავი ქონების საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 270 000 (ორასსამოცდაათი ათასიძ ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22ძ. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებძ, „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 10 000 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს, (ტელ: 2 40-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №312ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge უძრავი ქონების სანახავად მიმართეთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34ძ.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

ფეხბურთი

# ისემც კარგი დაგემართოთ



**როცა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა მოეწყო, „ზესტაფონის“ წარმომადგენლები შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს 50-50-ზე აფასებდნენ, თუმცა იქვე დასძენდნენ, რომ მეტოქე — ბაქოს „ნეფთჩი“ მათთან შედარებით გაცილებით მდიდარი კლუბია და თავს იმით იმშვიდებდნენ, ფული თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერს არ წყვეტსო.**

აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულმა პირველმა მატჩმა ცხადყო, რომ საქართველოს ჩემპიონთა მესვეურები ან ტაქტიკური მოსაზრებით ფრთხილობდნენ პერსპექტივის შეფასებისას, ან, რაც უფრო უარესია, შეგნებულად ამახინჯებდნენ რეალობას და ამით იქმნიდნენ, მათივე აზრით, ალიბს ადვილად შესაძლებელი ფიასკოს წინ.

თუ ეს ასე არაა, მაშინ გეკითხებით: როცა აღიარებ, რომ საქმე შენზე ბევრად უფრო წელგამართულ მოწინააღმდეგესთან გაქვს, ესე იგი აღნიშნულ წყვილშიც ფავორიტი ისაა და ეტიკეტის დასაცავად გამოთქმული პროგნოზი — შანსები 50-50-ზე უნდა შეფასდესო — წმინდა წყლის თვალთმაქცობაა.

**და კიდევ:** საინტერესოა, ვინ დაადგინა, რომ ფული თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერს არ წყვეტს. თუ სასურველის ჭეშმარიტებად გასაღება გვსურს, კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ხომ ყველამ ვიცით, რომ, სამწუხაროდ, სწორედ „ფარა“ წყვეტს არა მარტო კონკრეტულად ერთი მატჩის ბედს, არამედ ყველაზე პრესტიჟული ტურნირებისა თუ მოვლენების სიუჟეტს (რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად). საილუსტრაციოდ ახლახან აგორებული სკანდალის დასახელებაც კმარა, რომელიც ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის დაგვიანებულ აღიარებას მოჰყვა, გერმანიამ „მუნდიალ-2006“-ის მასპინძლობის უფლება იყიდაო.

ასე რომ, რაც უნდა ძნელი მოსასმენი იყოს, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და შევთანხმდეთ: მეზობელთა წარმატება კანონზომიერებაა, ჩვენ კი ჩემპიოთა ლიგად წოდებულ საფეხბურთო ელიტაში ჯერჯერობით არაფერი გვესაქმება.

**„ნეფთჩი“ — „ზესტაფონი“ 3:0**

**გოლები:** იმამვერდიევი, ვოუზი, კანალესი.

**დანარჩენი შედეგები:** „ფლორა“ — „ბაზელი“ 0:2, „დიუდელანჟი“ — „ზალცბურგი“ 1:0, „შემროკი“ — „ეკრანასი“ 0:0, ჰიკი — „რეიკიავიკი“ 7:0, „ულისე“ — „შერიფი“ 0:1, „ვალეტა“ — „პარტიზანი“ 1:4, „ჟილინა“ — „კირიათ შმონა“ 1:0, „ლიბერეცი“ — „ყარაბანდა“ 1:0, „ლანსტანფრეიდი“ — „ჰელსინგბორგი“ 0:0, „შკენდერბეუ“ — „დებრეცენი“ 1:0.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ლიცენზიატი

# ლადო ხინჩეგაშვილი

**გორში დაიბადა 1991 წლის 18 აპრილს. ჭიდაობა 10 წლისამ არკადი ხინჩიკაშვილთან დაიწყო. 9 წელიწადია, ნუგზარ სხირელი ავარჯიშებს. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორია, უფროსებში — კონტინენტის პირველობის ვერცხლის მედალოსანი.**

ლადო ხინჩეგაშვილს (55 კგ) ლონდონის ოლიმპიადის საგზური ჯერ კიდევ შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა მოეპოვებინა, მაგრამ თურქეთში მიკერძოებულმა მსაჯობამ ხელცარიელი დატოვა. შანსი წლეულს ბულგარეთის სალიცენზიო ტურნირზე მიეცა და უნაკლოდ გამოიყენა. სოფიაში კენჭისყრამ მთავარი კონკურენტები — აზერბაიჯანელი მაჰმუდ მაგომედოვი და ბელარუსი ვლადისლავ ანდრეიუ ბადის მეორე მხარეს მოახვედრა. თუმცა, არც ლადოს ჰყოლია იოლი მეტოქეები. განსაკუთრებით ორგზის ევროპის პრიზიორი გერმანელი მარსელ ევალდი გამო-



ირჩა. ქართველი ფალავანი და ალემანი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ჩვენებურმა ორივე პერიოდი საერთო ანგარიშით 10:0 მოუგო. მეორე ჯგუფში მაგომედოვმა ანდრიუს სძლია, თუმცა თავადაც დამარცხდა რუმინელ დუკოვთან. ეს უკანასკნელი კი ნახევარფინალში თურქ აჰმედ პეკერს დანებდა.

— შარშანწინ ახალგაზრდების მსოფლიო პირველობის ფინალში მსაჯებმა მეტისმეტი მოინდომეს და თურქთან ფინალი წამაგებინეს, — იხსენებს ლადო. — პეკერს ამაში ბრალი არ მიუძღვის — უბრალოდ, მას გამარჯვება აჩუქეს და უარს ხომ არ იტყოდა. საერთოდ, მე და თურქი ფალავანი ხუთჯერ შევხვდით ერთმანეთს და სამჯერ ვაჯობე. არ არის გამორიცხული, ლონდონშიც გადავეყაროთ ერთმანეთს.

**— ბრიტანეთის დედაქალაქში რას გეგმავ?**

— სერიოზული კონკურენტები მეყოლება — რუსი ვიქტორ ლებედი, ბულგარელი რადოსლავ ველიკოვი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი და აზიის ირანელი ჩემპიონი ჰასან რაჰიმი. სხვებიც არიან ძლიერი ფალავნები. ყოველივეს მიუხედავად, ობიექტური მსაჯობა თუ იქნა, ლონდონიდან ხელცარიელი არ უნდა დავბრუნდე. მართალია, ჯერ 21 წლის ვარ, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება არ მაკლია და ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ მონაწილეობისთვის არ მივემგზავრები. გული იმაზე მწყდება, რომ ჩემს წარმატებებს მამაჩემი ვერ მოესწრო. მან მიმიყვანა ჭიდაობაზე. თავადაც ევროპის ჩემპიონი იყო ახალგაზრდებში. ათი წლის წინათ მოულოდნელად გარდაიცვალა.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა

# „ბრინჯაოს“ დებიუტი

**პოლონურ კატოვიცეში დაიწყო თავისუფალი სტილით ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს მთავარი მწვრთნელის — თამაზ ბენდიანიშვილის ხელმძღვანელობით.**

ჩვენმა ფალავნებმა ევროპული ბატალიები „ბრინჯაოთი“ გახსნეს. გუნდს პირველი მედალი ქუთაისელმა ომარ გურჯიძემ (69კ) მოუტანა. მართალია, იგი შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების მეორეადგილოსანია, ოღონდ 63 კილოში. რიონისპირელმა ჭაბუკმა წონა შეიცვალა და დებიუტი მესამე ადგილით აღნიშნა: ჯერ რუსეთელ მუსლიმ ველოევს სძლია, შემდეგ რუმინელ გრე-



გორი ბოდისტეანუს, ბულგარელმა ენგინ ისმაილმა კი ორ პერიოდში დაჯაბნა ჩვენებური და ფინალში გავიდა. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში კი გურჯიძემ იტალიელი არონ კანევა დაჯაბნა.

„თავისუფლების“ შემდეგ კატოვიცეს ხალიჩა „კლასიკოსებს“ დაეთმობათ. ვაჟა კრავეიშვილის ხელმძღვანელობით მედლებისთვის იბრძოლებენ: თემურ შავაძე (42კ, რამაზ ზოიძე (46კ, ირაკლი შავაძე (50კ, გიორგი ხუჭუა (54კ, თემურ კვაჭაძე (58კ, მურთაზ ჩაბრავა (63კ, ნუკრი შავაძე (69კ, ნიკა გავაშელი (76კ, ნიკოლოზ კახელიშვილი (58კ და ზვიად პატარიძე (100კ.

**ლაშა დიდია**

ცურვა

# ცისფერ ბილიკებზე მოხვეჭილი „ოქროები“

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზმა მოცურავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში თბილისის, რუსთავის, გორის, საჩხერისა და ჭიათურის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. არ უასპარეზიათ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატს, ახალგაზრდებში ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ირაკლი ბოლქვაძეს, ასევე, ბათუმელ და ჭორვილელ მოცურავეებს.**



ჩემპიონატზე თავი განსაკუთრებით რამდენიმე სპორტსმენმა ისახელა. მაგალითად, გოგონებში თბილისელმა ელენე უნდილაშვილმა თავისუფალი ყაიდით ცურვაში 50, 100 და 200 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა. საჩხერელი მარიამ ზუზიაშვილი შინ ოთხი ოქროს მედლით დაბრუნდა. იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბრასით 100 და 200 მეტრზე, ხოლო კომბინირებული ცურვით — 200 და 400 მეტრზე. გულაღმა ცურვაში ორი პირველი ადგილი ერგო ოქსანა ბელოვას (რუსთავი), ხოლო მისი თანაგუნდელი მარიამ ოზოლაშვილი ბატერფლაით ერთ „ოქროს“ დასჯერდა. ვაჟებში ორ-ორი პირველი ადგილი დაიკავეს დავით სიხარულიძემ (თავისუფალი ყაიდა, 50 და 100 მ), ირაკლი რევიშვილმა (თავისუფალი ყაიდა, 200 და 400 მ), ლუკა კერვალიშვილმა (ბრასი, 100 და 200 მ), თეურ კობახიძემ (ბატერფლაი, 100 და 200 მ) და გიგი მთავრალაშვილმა (გულაღმა ცურვა, 100 და 200 მ), მესამე „ოქრო“ მთავრაშვილმა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დაიმსახურა.

**გივი გაგუა**

ჭადრაკი

# ხურციძე — ფიდეს გრან-პრიზე

**სომხურ ჯერმუკში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშება, რომელშიც 12 სახელოვანი ქალბატონი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის.** ესენი არიან ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატარინა ლაგნო (უკრაინა), ჟაო სიუ, ცზიუ ვენძიუნი, ლუფეი რუანი (სამივე — ჩინეთი), ელინა დანიელიანი, ლილით მკრტჩიანი (ორივე — სომხეთი), ნინო ხურციძე (საქართველო), ნადეჟდა კოსინცევა, ეკატერინა კოვალევსკაია (ორივე — რუსეთი), ბათუიაგ მონგონთუული (მონღოლეთი). პირველ ტურში ხურციძე ცზიუ ვენძიუნთან დამარცხდა.



კალათბურთი

# ასეთია ტურისტების ხვედრი



**უკვე გაუწყეთ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების „საქმენი საგმირონი“ — როცა დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შეხვედრები ლატვიელებთან, მასპინძელ თურქეთთან და ესპანელებთან ასტრონომიული შედეგებით რომ დათმეს.**

რატომღაც გვეგონა, რომ ასეთი ნოკაუტის შემდეგ „ჯვაროსნები“ გონს მოეგებოდნენ და ტოლ-სწორად იმ მეტოქეებს მაინც გაუმკლავდებოდნენ, ვინც მასთან ერთად ელიტაში პოზიციის შესანარჩუნებლად XIII-XVI ადგილებისათვის იბრძვის. სამწუხაროდ, არც ეს მოლოდინი გაგვიმართლდა.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გულისტკივილით გატყობინებთ ახალგაზრდა თანამემამულეთა კიდევ ორი ჩაფლავებული თამაშის ანგარიშს: ესტონეთთან — 73:87 და მონტენეგროსთან — 65:81.

ასე რომ, ბიჭები პრაქტიკულად ეხმაურებიან ქვეყნის ჩიტირეკია პრეზიდენტის მოწოდებას და ჩინებულად ასრულებენ ტურისტის როლს. ამ შემთხვევაში, მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს — სად?

**გიორგი შოთაძე**

## თეატრი

# „სათაგური“, რომელსაც მაყურებელი თავს ვერ აღწევს

**რამდენ ხანს იდგმება ერთი თეატრის სცენაზე რომელიმე კონკრეტული პიესა? ზოგი რამდენს და ზოგი – რამდენს, იტყვის კაცი და სავსებით მართალიც იქნება. მაგრამ ლონდონის წმინდა მარტინის სახელობის თეატრი მსოფლიოს სხვა თეატრებისგან იმითაა გამორჩეული, რომ მის სცენაზე აგათა კრისტის „სათაგურის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი 1952 წლიდან მოყოლებული... ყოველ დღე გადის!**

ამ ხნის მანძილზე თეატრის არაერთი თაობის მსახიობებმა „სათაგური“ 24 ათასზე მეტჯერ ითამაშეს და ამ მიღწევით მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს, რადგან მსგავსი რამ სხვაგან არსად მომხდარა. სტატისტიკური მონაცემებით ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტი ხნის მანძილზე თეატრის სცენაზე სპექტაკლი ათ მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა.




მაინც რით იზიდავს „სათაგური“ მაყურებელთა გაუნელებელ ინტერესს? პირველი, ცხადია, სიუჟეტის სიმძაფრე და ჩახლართულობა, დიდებული რეჟისურა და მსახიობთა ჩინებული თამაშია. წმ.მარტინის თეატრის დირექტორის სტივენ უელი-კოენის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები მთლად „თეატრალურ სცენაზე მორგებულად“ არ მიაჩნდა, თავად აგატა კრისტის სპექტაკლი უთვალავჯერ ჰქონია ნანახი.

აგათა კრისტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებთა სახელოვანი ავტორია, რომლის კალამს უამრავი ნაწარმოები ეკუთვნის. „სათაგურიც“, ცხადია, თავისი არსით დეტექტივია: ლონდონში ვინმე მორინ ლაონს კლავენ. ეჭვმიტანილი შავ პალტოში ჩაცმული მამაკაცია, რომელსაც ფეტრის შლაპა ახურავს, ყელზე კი ღია ფერის კაშნე აქვს მოხვეული. ამ ამბის პარალელურად რალსტონების კუთვნილ პანსიონატ „მონქსიელ-მენორში“ წვეულებაა, რომელზეც მიწვეული სტუმრები შინ დაბრუნებას დიდთოვლობის გამო ვერ ახერხებენ. ცოტა ხნის შემდეგ „მონქსიელ-მენორში“ კიდევ ერთი კაცი, პოლიციის სერჟანტი თროტერი მიდის, რომელიც სტუმრებს უცხადებს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სწორედ ამ პანსიონატს აფარებს თავს. რამდენიმე საათში მკვლელობა ახლა უკვე პანსიონატში ხდება, ამასთან ირკვევა, რომ მკვლელი, შესაძლოა, რომელიმე სტუმარი იყოს. ამიტომ მის გამოსავლენად გაერთიანებული ეჭვმიტანილი სტუმრები კიდევ ერთ მკვლელობის ინსცენირებას აწყობენ, რის მიზანია სერჟანტ თრტერის მიერ დაგებულ ხაფანგში მკვლელის გაბმა. ისევე, როგორც აგათა კრისტის ფაქტობრივად ყველა ნაწარმოებში, პიესის ფინალი სრულიად მოულოდნელია, რაც მაყურებლის ყურადღებას ბოლომდე იპყრობს და რამაც ავტორს ესოდენ დიდი პოპულარობა მოუტანა.

თავდაპირველად „სათაგური“ ლონდონის თეატრ „ამბასადორის“ სცენაზე ცნობილმა ბრიტანელმა რეჟისორმა და მსახიობმა რიჩარდ ათენბორომ განახორციელა. მანამდე ხუთი წლით ადრე კი ინგლისის მეფის ჯორჯ V-ის მეუღლის მარიამის თხოვნით ერთმა რადიოსადგურმა მცირე რადიოსპექტაკლი მოამზადა, რომელმაც მსმენელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

„სათაგურთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი მეტად საგულისხმო გარემოება ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს სპექტაკლის პროდიუსერმა პიტერ სონდერსმა კინოკომპანია „რომულუს ფილმზს“ ნაწარმოების ეკრანიზაციის უფლება მიჰყიდა, კინოფილმი დღესდღეობითაც არ არის გადაღებული. საქმე ისაა, რომ, კონტრაქტის მიხედვით, კინოსურათი თეატრში ბოლო სპექტაკლიდან მხოლოდ ექვს თვეში უნდა გადაეღოთ, მაგრამ რადგან იგი კვლავაც გადის, ნაყიდი უფლების განხორციელება ვერაფრით ვერ მოხერხდა.

როცა 2002 წლის 25 დეკემბერს „სათაგურის“ პირველი დადგმიდან 50 წლისთავზე საიუბილეო სპექტაკლი გაიმართა, მას თავად ინგლისის დედოფალი ელისაბედ II დაესწრო, რომელმაც შემდეგ დასის ყველა თაობის ერთიანად ყველა მსახიობს, რამდენიმე ათეულ კაცს წვეულება გაუმართა.

წლეულს კი „სათაგურის“ 60 წლისთავთან დაკავშირებით, თეატრის დასი სპექტაკლს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა დიდ ქალაქში წარადგენს და, შესაძლოა, იგი საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაშიც გაიტანოს.

**ნინო ალექსანდრია**

## „სად წაიყვან სადაურსა“

წიგნიდან „100 ქართველი უცხოეთში“

# ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე, 1904-1983)



**ამერიკელი ბალეტმაისტერი, ამერიკელი კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი, ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი და ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ძმაა.**

დაიბადა პეტერბურგში, სადაც დაამთავრა მარიინის თეატრთან არსებული თეატრალური სასწავლებელი (1921) და კონსერვატორია (1923). იყო ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობი (1921-1924). იმავე წლებში დადგა ცეკვები სპექტაკლებში „ოქროს მამალი“ (ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა), „უილბლო ეუგენი“ (ე. ტოლერის ამავე სახელწოდების პიესა). 1923 წელს უძღვებოდა „ახალგაზრდა ბალეტს“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსული ბალეტის გამოჩენილი მოღვაწეები (ლ. ლავროვსკი, პ. გუსევი, ი. სლომინსკი და სხვანი).

1924 წელს დატოვა რუსეთი. 1925-1929 წლებში მთავარი ბალეტმაისტერი გახლდათ პარიზის „ს. დიაგილევის რუსული საბალეტო დასისა“, 1932-ში – ფრანგული საბალეტო დასებისა „ბალე რიუს დე მონტე კარლო“ და „ბალე – 1933“.

აშშ-ში 1933 წელს მიიწვიეს, სადაც შექმნა „ამერიკული საბალეტო სკოლა“, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა დასი (1948 წლიდან „ნიუ-იორკ სიტი ბალედ“ წოდებული).

ჯ. ბალანჩინმა 1934-ში ამერიკიდან ახალი ტიპის ხელოვნება შესთავაზა ევროპას – პ. ჩაიკოვსკის „სერენადა“ დადგა, რითაც დაამსხვრია ბალეტის მანამდე ცნობილი ყველა სტერეოტიპი.

ბუენოს-აირესის, ლონდონის, მილანის, კოპენჰაგენისა და სხვა ქალაქების თეატრებში ჯ. ბალანჩინს დადგმული აქვს 160-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი. მის საუკეთესო წარმოდგენებად ითვლება ს. პროკოფიევის „უძღები შვილი“ (1928), ი. სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი“ (1928), „ორფევსი“ (1948), „ბროლის სასახლე“ (ჟ. ბიზეს მუსიკის მიხედვით, 1941), „ბალე იმპერიალი“ (პ. ჩაიკოვსკის მუსიკის მიხედვით) და სხვა.

1950-60-იან წლებში დადგმულ არაერთ წარმატებულ საბალეტო სპექტაკლში გამოირჩევა პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“, რომლის შესრულებაც ამერიკელებმა საშობაო ტრადიციად აქციეს.

ჯ. ბალანჩინი სახელგანსმენილია როგორც უსიუჟეტო, ე. წ. აბსტრაქტული ბალეტების დამდგმელიც, ავტორია წიგნისა „ცნობილი ბალეტების დაწვრილებითი აღწერა“.

გარდაიცვალა ნიუ-იორკში, დაკრძალულია ოკლენდის სასაფლაოზე.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძემ**

## ჩვენი კარაბადინი

# მომაკვდინებელი კბენა

### სისხლისმწოველები ავრცელებენ სასიკვდილო ინფექციებს

**ექიმები ახალ საფრთხეს გადააწყდნენ: ავადმყოფობა ჩნდება კოღოს კბენის შემდეგ და მას შეუძლია გამოიწვიოს სიმსივნე ფილტვებში.**

**თითქმის ერთი წლის შემდეგ აზოვის ზღვის ტამანის ნახევარკუნძულზე დასვენებიდან ვალენტინას აღმოუჩინეს გაურკვეველი სიმსივნე. ექიმები გაოცებული იყვნენ: რა არის ეს – ტუბერკულოზი თუ კიბოც კი? მაგრამ ყველა ანალიზი ნორმალური იყო. როდესაც გაურკვეველი წარმონაქმნი თავიდან მოიშორეს, ოპერაციის დროს დაინახეს, რომ მასში უამრავი მატლი ფუთფუთებდა...**

### მფრინავი მუტანტები

**ინფექციას კოღოები ავრცელებენ. საერთოდ კი ეს პარაზიტი ძაღლივითაა და ამ ბოლო დრომდე ინფექციები მისგან ადამიანს არ გადაეცემოდა (იყო მეტად უიშვიათესი შემთხვევები ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში). მაგრამ უკანასკნელ წლებში სპეციალისტები აღნიშნავენ დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას.** და არა მხოლოდ უცხოეთში, რუსეთშიც, მოსკოვშიც კი. შედეგები – მძიმე პნევმონიები, სიმსივნური წარმონაქმნები, მატლებია, რომლებიც კანქვეშ დაძვრებიან, ზოგჯერ სათესლე პარკშიც აღწევენ, ზოგჯერ იწვევენ სიბრმავესაც. მიზეზები: უპატრონო ძაღლების რიცხვისა და „გადამტანთა“ რაოდენობის ზრდა. თანაც დეზინფექტოლოგებს სულ უფრო და უფრო უჭირთ მათთან ბრძოლა.

„კოღოებს ისევე, როგორც ყველა მწერს, შეუძლიათ გამოიმუშაონ დამცველი რეაქცია ახალი ინსექტიდების წინააღმდეგ (როგორც მიკრობები ეგუებიან ანტიბიოტიკებს), განსაკუთრებით თუ ამ პრეპარატს იყენებენ არასწორად, ზრდიან ნებადართულ დოზირებას, – განმარტავს ენტომოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი სოკოლოვი. – ამასთან არის დაკავშირებული მათთან ბრძოლის ახალი საშუალებების მუდმივი ძიება. ძველი გამანადგურებელი „ქიმიკატები“ (დდტ-ს ტიპისა), ისევე როგორც ინსექტიციდების მოფრქვევა ავიაციის დახმარებით, დიდი ხანია, აკრძალულია, ვინაიდან დიდ ზიანს აყენებს ეკოლოგიასა და ცხოველებს“.

„ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექიმებმა გადამდებ სენს უკვე უწოდეს ინფექცია, რომელიც სწრაფად აფართოებს თავისი გავლენის სფეროს, – ამბობს პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრ ბრონშტეინი. – საერთოდ ყველა სისხლისმწოველს – არა მხოლოდ კოღოებს, არამედ ქინქლებსაც, ბაღლინჯოებსაც, ბუზანკალებსაც, ოფებსაც – გადააქვთ უსაშინლეს დაავადებათა მთელი მასა: ტროპიკული ციებ-ცხელება, ენცეფალიტები, მალარია, ლეიშმანიოზი და სხვები. გამოცდილმა მოგზაურებმა იციან: ტროპიკებში ყველაზე სახიფათო მხეცები არიან არა გველები, ზვიგენები და ნიანგები, არამედ სისხლისმწოველი მწერები. მათგან ყველაზე დაუნდობლები მოსკიტები არიან, ვინაიდან ისინი არც ჩანან, არც მათი ხმა ისმის. მათგან ინფექცია შეიძლება აიკიდო არა მხოლოდ აფრიკაში, ინდოეთში, ბრაზილიაში, არამედ სამხრეთ ევროპაშიც: კვიპროსზე, კრეტაზე, სამხრეთ იტალიაშიც“.

... ალექსი ჩაწვა ლოგინში კრეტაზე მოგზაურობიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მაღალი ტემპერატურა, მძიმე ანემია, ელენთის გადიდება და... რაიმე გარკვეული დიაგნოზის არარსებობა. ექიმებს ვერ გაეგოთ, რა ემართებოდა პაციენტს, ამიტომ ვერ მკურნალობდნენ. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ მამაკაცმა იმოგზაურა კრეტაზე, პასუხი მოიძებნა – პარაზიტარული ინფექცია, რომელიც მოსკიტების კბენით გადაიცემა. პარაზიტი აზიანებს სისხლისა და ღვიძლის უჯრედებს, და თუ არ ვუმკურნალებთ ადამიანს, ის დაიღუპება...



### სხეულთან არ მიუშვათ

**როდესაც დასასვენებლად წახვალთ, ნომერი სასტუმროში დაამუშავეთ ინსექტიციდური აეროზოლით, რომ დახოცოთ ყველა მფრინავი სისხლისმწოველი.**

**„კოღოებიან“ ადგილებში აუცილებლად გამოიყენეთ რეპელენტები. ბევრი მათგანის შემადგენლობაში არის დიეტილტოლუამიდი (დეტა), რომელიც აფრთხობს მწერებს.**

**მისი კონცენტრაციის შესაბამისად, რეპელენტები იყოფა სამ ჯგუფად:**

● ექსტრემალური (დეტას 35 პროცენტი) – მონადირეებისა და მეთევზეებისთვის, მოქმედებს 4-5 საათამდე.

● საოჯახო (დეტას 20 პროცენტი) – აგარაკისა და პიკნიკისათვის, მოქმედებს 3 საათამდე.

● საბავშვო (დეტას არაუმეტეს 10 პროცენტისა) – ბავშვებისთვის. პატარებისთვის არ არის რეკომენდებული აეროზოლის გამოყენება, აირჩიეთ კრემები და რძე.

● რეპელენტის მოქმედების დრო, რომელიც მითითებულია ეტიკეტზე, მცირდება სიცხეში ოფლის გამოყოფის გამო, ქარზე, სინესტესთან კონტაქტის დროს.

● არ არის სასურველი მისი სახეზე წასმა. შეიძლება ოფლი მოგივიდეთ, და პრეპარატი მოხვდება თვალებში ან პირში.

● მოხმარების წინ შეიმოწმეთ კანი ალერგიულ რეაქციაზე, როდესაც რეპელენტს ისმევთ მაჯის შიდა მხარეს.

● ერთ-ერთი ბოლო სიახლე – ანტიმოსკიტური ბრასლეტები. ელასტური პლასტიკი გაჟღენთილია მცენარეული ზეთით, რომელიც აფრთხობს მწერებს, გათვლილია 120-140 საათზე. უვნებელია ბავშვებისთვის.

ЗДОРОВЬЕ

## ინფორმაცია

# ხელისუფლება პოლიციას მძღოლების მასობრივ დაჯარიმებას ავალებს

**ლეიბორისტების განცხადებით, ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებელი ფულის საშოვნელად საპატრულო პოლიციას მძღოლების მასობრივ დაჯარიმებას ავალებს.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, პარტია მოითხოვს, მძღოლებს დაუყოვნებლივ გაუუქმდეთ ჯარიმა..**

**– ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად დარჩენილი აქვს ერთადერთი გზა – გაყალბება, ამას კი დიდი ფული სჭირდება. ჩვენი ინფორმაციით, საგზაო ჯარიმებით ბიუჯეტი დღეში შოულობს 30-50 ათას ლარს. გადაუხდელობის შემთხვევაში, ჯარიმა ათმაგდება, ასე რომ არჩევნების დამთავრებისთანავე ჩვენს მოქალაქეებს მოუწევთ საგზაო მოძრაობის უმნიშვნელო დარღვევაზე 700-800 და 1000-ლარიანი ჯარიმების გადახდა. ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ, ნაცვლად ყალბი წინასაარჩევნო დაპირებებისა, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მოსახლეობის მასობრივი დაჯარიმება, გამოცხადდეს ფართომასშტაბიანი ამნისტია და დაჯარიმებულ მძღოლებს გაუუქმდდეთ გადასახადი, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### გულის მტერი... გაზიანი წყალი



**ჰარვარდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის მეცნიერთა გამოკვლევით დადგინდა, რომ ისინი, ვინც ყოველდღე თითო ბოთლ ტკბილ გაზიან წყალს სვამენ, გულის შეტევის რისკს 20 პროცენტით ზრდიან. კვლევა 22 წლის მანძილზე გრძელდებოდა, რა დროსაც, დაკვირვება 43 ათას კაცზე აწარმოეს.**

– აღმოჩნდა, რომ ტკბილი გაზიანი სასმელების მოხმარება გულის სისხლ-ძარღვთა დაავადებათა გამომწვევი სერიოზული რისკ-ფაქტორია, – ამბობს გამოკვლევის ხელმძღვანელი პროფესორი ფრენკ ჰუ. – ტკბილ გაზიან სასმელებს ტრიგლიცერიდების მაღალ შემცველობასა და „კარგი ქოლესტერინის“ დაბალ შემცველობას უკავშირებენ, რასაც ზედმეტი წონის გარეშეც გულის შეტევის ალბათობას ზრდის.

### ორი ბალიში – ორმაგი მოგება



**ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რეკლამა ვაჭრობის ჩასახვისთანავე გაჩნდა და მას შემდეგ განვლილი ათასწლეულების მანძილზე ჩვენს დროში არნახულ მასშტაბს მიაღწია.**

ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის გასაღების მოცულობის გასაზრდელად რეკლამის სპეციალისტები მრავალნაირ ხერხს მიმართავენ, რომელთაგან ერთი მეტად ეფექტიანი და სიმარტივით გამორჩეული პროდუქტის ორმაგი ოდენობით მოხმარების რეკლამირებაა. თავდაპირველად იგი გასული საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი „ალკა ზელტცერის“ მარკეტოლოგებმა გამოიყენეს, როცა ჭიქაში სამკურნალო პრეპარატის ერთბაშად ორ აბს აგდებდნენ. ეფექტი გასაოცარი გამოდგა – მისი გაყიდვა უმალ ორჯერ გაიზარდა, რასაც კომპანია „თინკერ ენდ პართნერსის“ რეკლამის სპეციალისტებს უნდა უმადლოდნენ. ასევე იყო შამპუნის ცნობილ რეკლამასთან, რომელშიც მითითებული იყო, რომ იგი თმიდან ორჯერ უნდა ჩამოიბანონ – თხევადი საპნის გაყიდვა ამ შემთხვევაშიც გაორმაგდა. იგივე ხერხს იყენებენ მრავალი საღეჭი რეზინის მწარმოებლებიც: თუ დააკვირდებით, ყველა სარეკლამო რგოლში მოდელები ერთიანად ორ-ორ ბალიშს იდებენ პირში.

### ზნეობის დარაჯი



**„ყველაფერზე მეტად მარიხუანის სუნი მძულს, რომელიც ჩვენ სახლში მუდამ ტრიალებს. ამიტომ მინდა დედაჩემმა პასუხი აგოს თავისი საქციელის გამო“, – ამ შინაარსის წერილით მიმართა თერთმეტი წლის ბიჭმა მინესოტის შტატის ერთ-ერთი პატარა ქალაქის პოლიციას.**

მოზარდის ინფორმაციაზე დაყრდნობით პოლიცია ახალგაზრდა ცოლქმართან ჩხრეკის ორდერით მივიდა და 4 კილოგრამი ნარკოტიკი იპოვა. მშობლებს სასჯელისთვის თავი რომ არ აერიდებინათ, საზრიანმა ყმაწვილმა მათ ჩუმად ფოტოებიც გადაუღო, როცა ისინი ნარკოტიკს მოიხმარდნენ. ნარკომანები დააკავეს, ბიჭუნას კი, ალბათ, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაამწესებენ, ანდა აღსაზრდელად სხვა ოჯახს გადასცემენ.

### ბზიკი და ოხრახუში



**ზაფხულია, ჰაერში აუარება მწერი დაფრინავს, რომელთა კბენა ბევრი უსიამო განცდის მომტანია. მათ შორის კბენის სიმწრით ბზიკები გამოირჩევიან.**

ჰოდა, თუ ბზიკმა გიკბინათ, ნაკბენ ადგილზე ყინულის ნაჭერი, ან ცივი საფენი დაიდეთ. როცა ტკივილი ცოტათი დაგიამდებათ, სუფთა ნაჭერს საჭმლის სოდის ხსნარი დაასხით (პროპორციით ერთ ჭიქა წყალზე ერთი ჩაის კოვზი სოდაა). ეს საფენი ნაკბენ ადგილზე 15-20 წუთის განმავლობაში გაიჩერეთ.

გარდა ამისა, ტკივილის შესასუსტებლად ნაკბენზე შეგიძლიათ დასრესილი ახალი ოხრახუშის ფოთლები დაიდოთ.

### საშიშია ძილი... თვითმფრინავის საჭესთან

**ტორონტოდან ციურიხში მიმავალი კომპანია „ეირ კანადას“ ჩათვლემილმა მფრინავმა გვარიანად შეაშინა „ბოინგ 747“-ის მგზავრები და ეკიპაჟის წევრები.**

თავად ამბავი ჯერ კიდევ შარშან მომხდარა, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლა გაჟღერდა. თვითმფრინავის შტურვალთან მჯდომმა მეორე პილოტმა ეკიპაჟის მეთაურს წათვლემის ნებართვა სთხოვა. თუმცა ნახევარი საათის შემდეგ თვალი რომ გაახილა, ღამის ცაში მოკიაფე ვენერა დაინახა. ახლადგაღვიძებულმა ფრინავმა ვენერა... შემხვედრი თვითმფრინავის შუქებად მიიჩნია და... მასთან „შეჯახებისგან“ თავის ასარიდებლად თავის „ბოინგს“ კაი გვარიანად




„დააყვინთვინა“. 120 მეტრით რომ „ისკუპეს“, საჰაერო ხომალდის კაპიტანი მიხვდა, რომ რაღაც ცუდი რამ ხდებოდა და ვითარება თავად გამოასწორა. მომხდარის გამო ბევრი მგზავრი სკამიდან გადმოცვივდა, ორ მათგანს კი სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

### მიზანდასახულობის ფასი

**ხორვატეთის მცხოვრებმა ლატარიაში 2,3 მილიონი დოლარი მოიგო.** ეროვნულ ლატარიაში ამხელა თანხის მოგება თავისთავად სენსაციური ამბავია, მაგრამ მას კიდევ ერთი, არანაკლებ საგულისხმო გარემოება ახლავს. საქმე ისაა, რომ იგი ყოველ კვირას ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე რიცხვებს... 30 წლის მანძილზე ხაზავდა, სანამ ბოლოს და ბოლოს საწადელს არ მიაღწია!

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### ვალერი გელბახიანი ბიძინა ივანიშვილს სასამართლოში უჩივის

„ოცნების“ მიერ გორში, 15 ივლისს ჩატარებულ აქციაზე, ბიძინა ივანიშვილმა ვალერი გელბახიანის განსაკუთრებული გალიზიანება გამოიწვია. ორივე მხარე ერთმანეთს ეპითეტებით მანამდეც ამკობდა, თუმცა, მას მერე, რაც მილიარდელს საკუთარი მაჟორიტაროზის კანდიდატის, ვალერი გელაშვილის გვარი გელბახიანში აერია, სწრაფად დასძინა, საჩხერელ გელბახიანს მშობლიურ რაიონში აღარ ჩაესვლებაო, მძიმე განცხადებას გელბახიანი ანალოგიურად პასუხობს და ივანიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აანონსებს.

„ვერსია“.

### „ქართულ ოცნებაში“ რევოლუციის სცენარი არ განიხილება“

– აცხადებს თეა წულუკიანი, – ბიძინა ივანიშვილი ძალიან მშვიდადაა და გადაწყვეტილებებს აბსოლუტურად ცივი გონებით იღებს. ყველაფერი ისე მიდის, როგორც გავთვალეთ, ანუ გათვლილი იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი ისტერიკაში „ჩავარდებოდა“ და ასეც მოხდა – ივანიშვილს ჯერ მოქალაქეობა ჩამოართვა, მერე სახელმწიფო აპარატი აამუშავა იმ მატერიალური რესურსების წინააღმდეგ, რომელ რესურსებსაც წლების განმავლობაში თვითონ იყენებდა.

„ქართული სიტყვა“.

### ნავთობი მოულოდნელად და სწრაფად ძვირდება

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობი გაძვირდა. კლების ტენდენციამ, რითაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში საწვავის ბაზარი ხასიათდებოდა, გეზი მატებისკენ აიღო. საწვავის გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი, სპეციალისტთა შეფასებით, გეოპოლიტიკური პროცესებია. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვარალაშვილი ირწმუნება, რომ საერთაშორისო ფასების ზრდის მიუხედავად, საქართველოში საწვავის გაძვირება არ იგეგმება.

„რეზონანსი“.

### დაპირისპირება ახმეტის „ქართულ ოცნებაში“

ივნისში ახმეტაში მოხდა ინციდენტი, რომლის დროსაც აქტიური ოპოზიციონერი ციხეში ჩასვეს. საქმე ეხება ახმეტის საკრებულოს წევრს ზაქარია ქინქლაძეს. სასამართლომ მას 25-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა, რასაც იგი დღეს ამთავრებს. გარეთ გამოსულს კი სერიოზული, რაც მთავარია, უსიამოვნო სიურპრიზი დახვდება: „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის უფროსი ზაქარია ქინქლაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შტაბის უფროსად კი... „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თეიმურაზ გოდერძიშვილი (?!) დაინიშნა.

„ახალი თაობა.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 21 ივლისს**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**რკინიგზის სადგური. ხანდაზმული მამაკაცი ვაგონიდან გამოვიდა და ბუფეტისკენ გაემართა. ვაგონიდან გამოსვლისას შეხედა მის ნომერს, რათა მერე ადვილად მიეგნო.**

**– 1492... შესანიშნავია. ამ ნომრის დავიწყება შეუძლებელია... ეს ამერიკის აღმოჩენის წელია.**

**რამდენიმე წუთის შემდეგ იგი გამოდის პლატფორმაზე და თავაზიანად ეკითხება რკინიგზელს:**

**– მაპატიეთ, ხომ არ გახსოვთ, როდის აღმოაჩინეს ამერიკა?**

* * *

**მიმდინარეობს კულტურის სახლში ხანძრის გაჩენის გამოძიება.**

**დაიკითხება მოწმე მიხო:**

**– ესე იგი, მივედი გუშინ საღამოს სახლში, გადავწიე ჩემი მაროს იუბკა და...**

**– ეს წვრილმანები გამოძიებას არ აინტერესებს... არსებითზე ილაპარაკეთ!**

**– სწორედ მაგას ვაკეთებ. გადავწიე ჩემი მაროს იუბკა და...**

**– მოწმევ, მოკლედ ილაპარაკეთ!!!**



**– უფრო მოკლედ როგორღა, კაცო? გადავწიე იუბკა, რომელიც ფანჯარაზე გვაქვს აფარებული და, კულტურის სახლს ცეცხლი არ უკიდია?**

* * *

**ტიპი დანტისტთან მივიდა.**

**– თქვენი კბილი ამოსაღებია! – ეუბნება ექიმი.**

**– რამდენი დამიჯდება ეს?**

**– იცით რა? რაკი დამწყები ექიმი ვარ და ჯერ გამოცდილება არა მაქვს, საათში მხოლოდ ათ ლარს ვიღებ.**

* * *

**– მე კიდევ ტომ სოიერს ვკითხულობ.**

**– რა დაწერა მან?**

**– რა და, მარკ ტვენის თავგადასავალი, შე შტერო!!!**

* * *

**გოგოს მესიჯი გავუგზავნე: „საოცრად კარგად ვგრძნობ თავს შენთან!“**

**მივიღე პასუხი:**

**„არა მხოლოდ შენ!“ (– ...ღმერთო, რა ორაზროვნებაა...).**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24